ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## წურწუმია და გობაძე მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ

გვ.8



ორშაბათი, 16 სექტემბერი, 2019 №219 (8173) ფასი: 60 თეთრი

# „ოქრუაშვილს ოპოზიცია უსინდისოდ ექცევა“



გვ.3



## ხათუნა ლაგაზიძე:

„ოცნება“ და ნაცმოძრაობა ერთ ნავში ჯდომას 2020 წელსაც გააგრძელებენ“



## თაკო ჩარკვიანი: „ბოკერია და უგულავა ისე ლაპარაკობენ, თითქოს მიშას დროს ოპოზიციაში ეგენი იყვნენ“

გვ.2

## სომხეთში პრორუსული ძალები დემოკრატიული პროცესების წინააღმდეგ დაირაზმნენ



გვ.4

„იუმორისტულ სპექტრს კაპანაძის ქილიკიღა აკლდა“



## იქნება თუ არა სოხუმში მორიგი რევოლუცია?

გვ.4

„ამცახარამ“ სახალხო შეკრება დააანონსა

**სამართალი** გვ.5

ქართველი მეცნიერი ალექსანდრე სამბელაშვილი აშშ-ში მოკლეს



დაკავებულია ერიკ კრავჩუკი



სუსმა გარემოს დაცვის ოფიცერი ვაჟა ბ. დააკავა

ქუთაისში კაცი ქალს სახლში შეუვარდა და მისი გაუპატიურება ცადა



ვასილ სოფრომაძეს სასამართლოში სარჩელი შეაქვს

გვ.2

ISSN 1987-9385

2 პატარა გოგონას გარდაცვალებას ოჯახი კლინიკას აბრალებს

5 ბარსელონაში საქართველოს 3 მოქალაქე დააკავეს

2 თენგიზ კიტოვანს მოსკოვში თავს დაესხნენ

6 ბინ ლადენის ვაჟი მოკლეს

# თაკო ჩარკვიანი: „ბოკერია და უგულავა ისე ლაპარაკობენ, თითქოს მიშას დროს ოპოზიციაში ეგენი იყვნენ“

## „იუმორისტულ სპექტრს კაპანაძის ქილიკიღა აკლდა“

იაგო ნაცვლიშვილი

„ევროპულმა საქართველომ“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ოპოზიციურ პარტიებს შესთავაზეს, გააფორმონ მემორანდუმი და შეთანხმდნენ, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციას არ შექმნიან. გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელმა, პარტია „კანონი და სამართლის“ დამფუძნებელმა თაკო ჩარკვიანმა განაცხადა, რომ ის „ევროპული საქართველოს“ წინადადებას არ იღებს.

საპასუხოდ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა სერგი კაპანაძემ ბრიფინგი გამართა და თქვა, რომ ჩარკვიანი „ასავალ-დასავალისა“ და „ქართული ოცნების“ სტილში საუბრობს, ნაციონალურ მოძრაობას კი მოუწოდა, გაემიჯნოს თაკო ჩარკვიანს.

რატომ არის მიუღებელი იდეა და რა პასუხი აქვს სერგი კაპანაძის განცხადებებთან დაკავშირებით? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თაკო ჩარკვიანი საუბრობს და ამბობს, რომ ის „ევროპულ საქართველოს“ არ ენდობა.

***– რატომ არის მიუღებელი „ევროპული საქართველოს“ შეთავაზება იმის თაობაზე, რომ პარტიებმა მემორანდუმი გააფორმოთ, რომ არ შეხვალთ ივანიშვილთან კოალიციაში?***

– იდეა კი არ არის მიუღებელი, არამედ ეს მიუღებელია „ევროპული საქართველოსგან“, რომელსაც მე აბსოლუტურად არ ვენდობი, იმიტომ,



რომ სერგი კაპანაძემ მე კი არ უნდა მომიძღვნას ბრიფინგი, არამედ ბოკერიას, ჩერგოლეიშვილს, ოთო კახიძეს, რომლებიც სინქრონში აკეთებენ ივანიშვილისთვის მომგებიან განცხადებას, თუ, რა თქმა უნდა, სერგი კაპანაძეც არ მოდის თანხვედრაში ივანიშვილთან.

მე როდესაც შევედი კოალიციაში „ძალა ერთობაშია“ და სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით ტალახის ოკეანეში გავიარე, მაშინ მოვაწერე ხელი ამ ყველაფერს. მაშინ გადავდგი პირველი ნაბიჯი ბიძინა ივანიშვილის მიერ უზურპირებული სისტემის წინააღმდეგ. ამიტომ „ევროპული საქართველოსგან“ არ მჯერა ეს ყველაფერი.

***– საინტერესო ფრაზა თქვით და უნდა გამოგყვეთ. თქვით, რომ ჩერგოლეიშვილისა და ბოკერიასგან არ გჯერათ ეს იდეა. ასე გგონიათ, რომ „ევროპული საქართველო“ ჩერგოლეიშვილისგან იმართება?***

– მე არ მგონია. მათი პარტიის სულისჩამდგმელი არის გიგა ბოკერია. ჩერგოლეიშვილს თავი დავანებოთ და ოთო კახიძის განცხადება ემთხვევა ჩერგოლეიშვილისას. 20 ივნისის მოვლენების დროს დაგვაბრალეს, რომ თურმე ხალხი არაფერ შუაში არ ყოფილა და ნაციონალებს გამოუყვანიათ ხალხი ქუჩაში. მერე გაერთიანებულ ოპოზიციას გვეძახეს, ნაციონალები ხართო. ჩვენ ყველაფერი ჩავდეთ, რომ როგორმე გაერთიანებული ოპოზიცია ყოფილიყო, რომელმაც გააწნა პირველი სილა ბიძინა ივანიშვილს. ეს სწორედ გაერთიანებულმა ოპოზიციამ გააკეთა. ეს სილა ივანიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების დროს იგემა. მაშინ „ევროპული საქართველო“, ფაქტობრივად, ივანიშვილთან იყო უნისონში.

***– რით გამოიხატა ეს? მეორე ტურში „ევროპულმა საქართველომ“ მხარი დაგიჭირათ.***

– აბა, რა უნდა ექნათ? თუ პროდასავლურ ძალას არ დაუჭერდნენ მხარს და როცა არსებობდა ეს შეთანხმება, მაშინ გამოიკვეთებოდნენ, რომ უბრალოდ არარაობანი და მავნებლები არიან. ეს მათი თამაშის წესები იყო და, კაცმა არ იცის, კიდევ ვინ ვის დაუჭირა მხარი, თუ ძალიან გაინტერესებთ. თუ დაგვიჭირა მხარი, ეს იყო პოლიტიკური თამაშის ნაწილი.

***– რას გულისხმობთ?***

– ეს იყო თამაშის ნაწილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთლიანად გაიშიფრებოდნენ. ამიტომ სულ არ გამკვირვებია.

მთელი თავიანთი მოღვაწეობით ესენი გაერთიანებულ ოპოზიციას ებრძვიან. ამოიღეთ ნებისმიერი განცხადება. სისტემატურად ხდება გაერთიანებული ოპოზიციის მოხსენიება, როგორც ნაციონალური მოძრაობის. 12 პარტიაა და ყველა პარტიას ჰყავს თავისი მომხრეები. ხალხს აყენებენ შეურაცხყოფას.

2016 წელს ნაციონალურ მოძრაობას ჰყავდა 300.000 ამომრჩეველი, 2018 წელს კი გაერთიანებულმა ოპოზიციამ 900.000 ამომრჩევლამდე შედეგი დადო. ბედავ და ამომრჩეველს შეურაცხყოფას აყენებ?!

მაგალითად, გააფორმა სერგი კაპანაძემ მემორანდუმი და დააფიქსირა, რომ არ შეეკვრება ივანიშვილს. მერე? როგორ ვაკონტროლოთ ეგ მექანიზმი მერე? რა იურიდიული ბერკეტი არსებობს? მაინტერესებს ეს საკითხი. გეკითხებით თქვენ, როგორც ჟურნალისტს.

***– გარანტიებს ითხოვთ?***

– როგორ მოხდება ეს ამბავი? ახლა არ აქვთ ხელი მოწერილი, რომ არ შეეკვრებიან

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „შეწყდეს მწამებელთა მხარდაჭერა საქართველოში!“

## პატრიოტთა ალიანსმა აშშ-ის საელჩოსთან აქცია გამართა

გუშინ, 15 სექტემბერს, ამერიკის საელჩოსთან პატრიოტთა ალიანსის აქცია გაიმართა.

პარტიის ლიდერ ირმა ინაშვილის განცხადებით, მათი მთავარი გზავნილია, დასრულდეს მწამებლების მხარდაჭერა და ქართველ ხალხს დაუგდოს ყური ყველა საერთაშორისო პარტნიორმა, იქნება ეს აშშ თუ ევროპის ქვეყნები.

– დღეს დემოკრატიის საერთაშორისო დღეა და ძალიან მნიშვნელოვანი და სიმბოლურია, რომ ჩვენი მშვიდობიანი შეკრება აშშ-ს საელჩოსთან სწორედ დემოკრატიის საერთაშორისო დღეს დაემთხვა. იმიტომ, რომ 10 სექტემბერს ჩემ მიმართ დაირღვა სიტყვის თავისუფლების უფლება, გამოხატვის უფლება და ასეთი ფაქტი სხვა დროს აღარ უნდა განმეორდეს.

ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, აშშ-ის საელჩოს, დღეს მკაფიოდ ვუთხარით – პატივს ვცემთ ყველა მეგობარს, ჩვენი სამშობლოს მეგობრებს, მაგრამ ცნობილია და ფაქტია, მრავალი წლის განმავლობაში 2012 წლიდან დღემდე მიდის აქტიური მხარდაჭერა მწამებელთა პარტიების, ბოკერიებისა და სააკაშვილების.



დღეს ჩვენი მთავარი გზავნილია, შეწყდეს მწამებელთა მხარდაჭერა საქართველოში. იმიტომ, რომ ეს ქართველ ხალხს ძალიან აბრაზებს. ჩვენ კარგად ვხედავთ, ამ შეკრებაზე მობრძანებული იყო თამაზ მოლაშვილი. აბა თამაზ მოლაშვილს უთხრას იმ ლიტველმა დეპუტატმა, შეიყვარე ბოკერიაო. ასეთი რამ არ ხდება, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

მისი თქმით, პარტია გეგმის მიხედვით გააგრძელებს საპროტესტო აქციებს.

# ვასილ სოფრომაძეს სასამართლოში სარჩელი შეაქვს

## „ბიზნესზე ზეწოლა გრძელდება“

– არ ვაპირებ საგანგებო სიტუაციების სამსახურის მოთხოვნის შესრულებას და სასამართლოში სარჩელი შემაქვს.

ამის შესახებ ბიზნესმენი ვასილ სოფრომაძე ვიდეომიმართვაში საუბრობს, სადაც სახანძრო უსაფრთხოების საკითხზე მისი კომპანიის მიმართ განხორციელებულ მოქმედებებს განიხილავს.



– „ფრესკოს“ ყველა ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში კანონის დაცვით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გავდიოდით ყველანაირ შემოწმებას სახანძრო სამსახურიდან. საბჭოთა კავშირში არსებობდა წესები და ჩვენს მთავრობას მიღებული აქვს არარსებული ნორმა, თუ რაიმე გინდოდათ აგეღოთ, აგეღოთ იმ ქვეყნიდან, საითკენაც მივდივართ და არა არარსებული ქვეყნიდან.

დღეს ამ ნორმებზე დაყრდნობით სახანძრო სამსახურმა წარმოგვიდგინა მათი შემოწმების აქტი, რომელსაც ჩვენ ფიზიკურად ვერ გავაკეთებთ, რადგან კონსტრუქციებს შევასუსტებთ. არ ვაპირებ ამის გაკეთებას, ვაპირებ სასამართლოში სარჩელის შეტანას. ყველაზე დიდი საშიშროება ის არის, რომ ახალი ობიექტის აშენებას ვაპირებთ და ისიც არ ვიცით, თუ ბეჭედს დაგვისვამენ საგანგებო სიტუაციების სამსახურიდან, იმის გარანტიაც არ გვაქვს, რომ ხვალ ახალ ინსპექტორს არ გაუჩნდება ახალი იდეები და მის შესრულებას არ მოგვთხოვს, – განაცხადა სოფრომაძემ.

მისი თქმით, ივანე მაჭავარიანის მინისტრობის პერიოდში მის კუთვნილ ბიზნესს გაუგონარი სარჩელი წარედგინა.

– დიახ, ვადასტურებ, ბატონო ივანე, ვადასტურებ, რომ ბიზნესზე არის ზეწოლა. თქვენი ფინანსთა მინისტრობის პერიოდში საგადასახადომ „ფრესკოს“ წარუდგინა ისეთი გაუგონარი სარჩელი, რომელიც რა თქმა უნდა, ჩვენ მოვიგეთ და რომელიც არ შეიძლებოდა, რომ არ მოგვეგო.

ზეწოლა ახლაც გრძელდება, ახლა, როცა აღმოაჩინეთ, რომ თანხა გაქვთ დასაბრუნებელი უკან, ამ თანხის შესაბამის თემაზე წამოჭერით საქმე. ისე, ჰაერში ვართ ჩამოკიდებული, ეს თემა გრძელდება და ჩვენ აუცილებლად დავამტკიცებთ, – თქვა სოფრომაძემ ვიდეომიმართვაში.

# პატარა გოგონას გარდაცვალებას ოჯახი კლინიკას აბრალებს



ოჯახის მტკიცებით, 1 წლისა და 7 თვის გოგონა მცდარი დიაგნოზის მსხვერპლი გახდა. მცირეწლოვანი კლინიკაში მაღალი ტემპერატურით შეიყვანეს, თუმცა ის ექიმებმა საავადმყოფოდან რამდენიმე საათში გაწერეს.

ბავშვი სახლში გადაყვანიდან 3 დღეში გარდაიცვალა.

– გულისცემა საშინლად არ მომწონდა, გულში სითხე ჰქონია. ექიმმა ჯერ თქვა, ცალი ფილტვი არ მომწონდაო, მერე თქვა, არც ერთ ფილტვში არ აქვს ანთებაო. რენტგენი არ გადაუღო, მითხრა, რომ ალერგია აქვს, – აცხადებს ბავშვის დედა.

# ნოდარ ხადური 14 სექტემბერს დაკრძალეს

ფინანსთა ყოფილი მინისტრი ნოდარ ხადური 14 სექტემბერს დაკრძალეს.

დილიდან სიონის საკათედრო ტაძარში სამოქალაქო პანაშვიდი მიმდინარეობდა.

გარდაცვლილის ოჯახს მიუსამძიმრეს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, უმრავლესობის წევრებმა – მამუკა მდინარაძემ და გია ვოლსკიმ.

სამოქალაქო პანაშვიდზე მოადგილეებთან ერთად მივიდა თბილისის მერი კახა კალაძე, ასევე ოჯახს მიუსამძიმრა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. ნოდარ ხადურის ოჯახს სამძიმარი გამოუცხადა სამოქალაქო მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ.

ნოდარ ხადური 10 სექტემბერს, 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა გახდა.



ხადური 2016 წლის 1 დეკემბრიდან საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე იყო. 2012 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ნოემბრამდე მას საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანამდებობა ეკავა.

# თენგიზ კიტოვანს მოსკოვში თავს დაესხნენ



თავდაცვის ყოფილ მინისტრ თენგიზ კიტოვანს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა სოციალურ ქსელში გავრცელდა. ტელეფონით გადაღებული ვიდეომასალა ოკუპირებულ აფხაზეთში არსებულ ჯგუფებში გააზიარეს.

ინციდენტი მოსკოვში, სავარაუდოდ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოხდა.

კიტოვანს სიტყვიერი შეურაცხყოფა 1992-93 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობის გამო მიაყენეს.

ვიდეოს ავტორი ამტკიცებს, რომ კიტოვანს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა, მაგრამ ეს ვიდეოზე არ გადაიღო.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოქრუაშვილს ოპოზიცია უსინდისოდ ექცევა“

## ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნება“ და ნაცმოძრაობა ერთ ნავში ჯდომას 2020 წელსაც გააგრძელებენ“

იაგო ნაცვლიშვილი

**საქართველოს პროკურატურამ ნიკა მელია გააფრთხილა იმის გამო, რომ ის ტელეკომპანია „კავკასიაში“ მივიდა. საგამოძიებო უწყება პოლიტიკოსს აფრთხილებს, რომ განმეორებითი შემთხვევისას რეაგირება უფრო მკაცრი იქნება. მელია, რომელსაც შინაპატიმრობა აქვს მისჯილი, ამბობს, რომ რომელ ტელე-რადიო კომპანიაშიც მიიჩნევს საჭიროდ მისვლას, იქ მივა.**

**პოლიტიკურ მოტივაციასთან გვაქვს საქმე თუ სამართლის ნორმებთან? ხომ არ ჩანს ის, რომ ოქრუაშვილის ეპიზოდთან მიმართებით საქმე გვაქვს შურისძიებასთან? რა როლი მიუძღვით დასავლელ დიპლომატებს „ოცნების“ ქმედებების შეკავების თვალსაზრისით? ხომ არ გამოიწვია ხელისუფლებამ საზოგადოება? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.**

***— ნიკა მელიას ეპიზოდს პოლიტიკური შეფერილობა სდევს თან თუ ეს წმინდა სამართლებრივ საკითხად უნდა განვიხილოთ?***

— ერთიც არის და მეორეც. ორივე ასპექტი აქვს ამ საკითხს, იმიტომ რომ, ერთი მხრივ, მელიას მხრიდან ეს იყო პოლიტიკური ნაბიჯი და გამოწვევა, ერთი მხრივ, ხელისუფლების და მეორე მხრივ — პროკურატურის. მან, ფაქტობრივად, დატესტა თავისი ნაბიჯით ხელისუფლება, თუ რას მოიმოქმედებს ის.

ბუკვალურად თუ მივყვებით კანონს და თუ გამოჩნდება, რომ მელიამ კანონი დაარღვია, მაშინ მას უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაქცია. თუ შესაბამისი რეაქცია არ მოჰყვა, გამოდის, რომ მელიას პოლიტიკურმა ნებამ აჯობა ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას და ხელისუფლება აიძულა, კანონის მოთხოვნებისთვის გადაეხვია. აქ მთავარია, რომ ამ შემთხვევაში მელიამ ხელისუფლებას ფსიქოლოგიური ომი გამოუცხადა. თუმცა ხელისუფლება ორივე შემთხვევაში წამგებიან პოზიციაშია. თუ ის არ მიჰყვება კანონის მოთხოვნებს, გამოდის, რომ, ერთი მხრივ, ფსიქოლოგიური ომი წააგო და, მეორე მხრივ, კანონის მოთხოვნები ვერ შეასრულა. თუ მიჰყვება კანონის მოთხოვნებს, კიდევ ერთხელ მისცემს ოპოზიციას საშუალებას, პოლიტიკურ დევნაზე ისაუბრონ.

მეორე საკითხია, რატომ მოუნდა ახლა მელიას პოლიტიკური დემარშის გაკეთება და ხელისუფლებისთვის ხელთათმანის სროლა. ნაციონალური მოძრაობის ამოცანა ამ არჩევნებში არის ის, რომ მუდმივად იყოს პოლიტიკური დღის წესრიგის ნომერ პირველი. პროპორციული არჩევნები კი ნაციონალური მოძრაობისთვის თავისთავად რისკია.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ იმ ამომრჩევლიდან, რომელიც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი, მივიდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე და ვაშაძეს მისცა ხმა, ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი ალბათ ნახევარია, დანარჩენი კი პროპორციულ არჩევნებზე გადანაწილდება სხვა პოლიტიკურ პარტიებზე. ეს ნაცმოძრაობისთვის სერიოზული დარტყმაა, ამიტომაც მუდმივად ეცდება, იყოს პოლიტიკური დღის წესრიგის შემქმნელი.

***— როდესაც საუბრობთ პროკურატურის ქმედებებზე, რა გზა აქვს, თუ ის კანონის შესაბამისად არ იმოქმედებს, ხომ არ გამძაფრდება განცდა, რომ ოქრუაშვილის მიმართ შურისძიებას ჰქონდა ადგილი?***

— სანამ პროკურატურას მივადგებით ოქრუაშვილთან მიმართებით, ვიტყვი იმას, რომ ოპოზიციური სპექტრი ოქრუაშვილის მიმართ დიდი სინდისიერებით არ გამოირჩევა. არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ ის დაეცვა, მაშინ როდესაც ის მათ მხარდამხარ იყო 20 ივნისის მოვლენების დროს. პირდაპირ ვთქვათ, მასთან მიმართებით უსინდისოდ იქცევიან.

***— ეს განცდა გიჩნდებათ, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა ის ბრძოლაში მიატოვეს?***

— ასე გამოდის: სინდისიერი და პარტნიორული დამოკიდებულება არ არის მათი მხრიდან. ხელისუფლების პოზიცია იმით აიხსნება, რომ დანარჩენები, ვისზეც საუბარი იყო, დეპუტატები არიან, მათ მიმართ გაცილებით რთულია ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და ეს გაცილებით დიდ ხმაურსა და აჟიოტაჟს გამოიწვევს.

***— გივი უგულავა არ არის დეპუტატი.***

— გასაგებია, მაგრამ იმაზეც არის საუბარი, ვის რომელი პოლიტიკური ძალა უჭერს მხარს და ვის როგორი მხარდაჭერა აქვს დასავლეთში. ყველაფერი შედარებითია, მათ შორის პოლიტიკაშიც. ხელისუფლება გაცილებით ფრთხილი იქნება, ყოველ შემთხვევაში, იძულებული იქნება, ფრთხილი იყოს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენ ამერიკელი დიპლომატების მხრიდან მოვისმინეთ ბოლო დღეებში.

შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში, 2003 წელსაც კი რთულად მახსენდება ისე დაუფარავად, კატეგორიული ტონით გაკეთებული კრიტიკული შეფასებები. მეტსაც ვიტყოდი, ამერიკელი დიპლომატები ამ დღეებში ლამის ქართული ოპოზიციის ენით ალაპარაკდნენ. ამიტომაც ხელისუფლება გაცილებით მეტ სიფრთხილეს გამოიჩენს. უბრალოდ, ოქრუაშვილი მოჰყვა პირველი ბადეში.

ამერიკელი დიპლომატები ასეთ მწვავე შეფასებებს აკეთებენ და „ქართულ ოცნებას“ ძალიან უმართლებს, რომ ისინი მოქმედი სახელმწიფო მოხელეები არ არიან. თუმცა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა რამდენიც არ უნდა იძახონ, რომ ესენი მოქმედი დიპლომატები არ არიან, მათ მარტივად მაინც არ აქვთ საქმე. ამერიკის სახელმწიფო სისტემა მემკვიდრეობითობაზე დგას. ამერიკელი დიპლომატი როცა სახელმწიფო სამსახურიდან მიდის, ეს არ ნიშნავს, რომ მას ვინმე აგდებს.

***— თან ამერიკაში სისტემა ხომ ისეა მოწყობილი, რომ ანალიტიკოსები ქმნიან ფონს შემდგომი მუშაობის თვალსაზრისით?***

— ზუსტად მაგას ვამბობ. ის, რომ რომელიმე მათგანი დღეს არ წარმოადგენს ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაციას, სახელმწიფო დეპარტამენტს, არ ნიშნავს, რომ ხვალ ისინი არ დაბრუნდებიან ან დღეს არ ქმნიან განწყობებს ამერიკის პოლიტიკურ ელიტაში.

როგორც ჩანს, ხელისუფლება უპრეცედენტო ზეწოლის ქვეშ იმყოფება რუსეთის მხრიდანაც: სააკაშვილის ბოლო განცხადება, რომ პუტინი ემუქრება ივანიშვილს, რომ თუ საქართველო ოფიციალურად არ იტყვის უარს ნატოსა და ევროკავშირზე, რუსეთი წლის ბოლომდე, ყირიმის მსგავსად, სამაჩაბლოსაც შეიერთებს, ძალზე დამაფიქრებელია.



**„ამერიკელი დიპლომატები მწვავე შეფასებებს აკეთებენ და „ქართულ ოცნებას“ ძალიან უმართლებს, რომ ისინი მოქმედი სახელმწიფო მოხელეები არ არიან. თუმცა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა რამდენიც არ უნდა იძახონ, რომ ესენი მოქმედი დიპლომატები არ არიან, მათ მარტივად მაინც არ აქვთ საქმე“**

ამ ფონზე სრულიად სხვა დატვირთვას იძენს რასმუსენის მიერ საქართველოს საზოგადოების 1 კვირის წინანდელი დატესტვაც: როგორც ჩანს, ეს თემა მართლაც მუსირებს და ზეწოლა იმაზე მეტად სერიოზულია, ვიდრე წარმოგვედგინა. ამ ფონზე ხელისუფლებას როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო საზოგადოების მაქსიმალური მობილიზაცია და მხარდაჭერა ესაჭიროება. მაგრამ უპირველესად ხელისუფლებამ უნდა გვითხრას, რასთან გვაქვს საქმე და ერთად უნდა გადავწყვიტოთ, რა სახის კოორდინაციას, ჩართულობასა და აქციებს მოითხოვს ჩვენგან კარს მომდგარი გამოწვევები.

***— პრემიერის მრჩეველმა სოზარ სუბარმა „ტვ პირველის“ ეთერში გახარიას თემაზე გვითხრა, რომ ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური დამოკიდებულებაა, თუ არ ჩავთვლით იმ მცირე ჯგუფს, რომელიც 2 თვე აქციაზე იდგა. ის, რომ ბოლოს პროტესტი აღარ იყო ძალიან მწვავე, ხელისუფლებას დამშვიდების საშუალებას აძლევს?***

— რა თქმა უნდა, არა. ხელისუფლება ამ თვალსაზრისით ივნისის აქციებამდეც ძალიან მშვიდი იყო და ისიც კი ისმოდა ხელისუფლების წრეებიდან, რომ ჩვენ 2020-ის არჩევნები კი არ გვაქვს სადარდებელი, ფაქტობრივად, ეს უკვე გადაგორებული გვაქვს და დროა, 2024-ზე ვიფიქროთ. უეცრად მიიღეს 20 ივნისი, როცა დაინახეს, თუ რამდენად ძლიერია საზოგადოებაში უკმაყოფილების მუხტი.

საზოგადოების განწყობა მიძინებულ გველეშაპს ჰგავს. მათ დამშვიდების საშუალება არც იმით აქვთ, რომ დღეს რუსთავი 2, როგორც ოპოზიციური ტელევიზია, ველარ მაუწყებლობს ისეთი მასშტაბით, როგორი განწყობის შემქმნელიც იყო ის რამდენიმე თვის წინ. „მთავარი არხი“ თავის სათქმელს იტყვის და მას კიდევ ერთი ოპოზიციური ტელევიზია წამოეწევა, აგერ არის ტვ პირველიც, კავკასიაც, პალიტრაც... მოკლედ, იმის განცდა, რომ მედიასივრცე ველარ იქნება ისეთი კრიტიკული, როგორიც იყო და, შესაბამისად, საზოგადოება იქნება კმაყოფილი და ბედნიერი, აბსოლუტური ილუზიაა.

თუმცა, თუ რამე დამშვიდების საშუალებას მისცემს ხელისუფლებას, ეს ოპოზიციის სიხარბე და უგუნურებაა, რასაც ბოლო დღეებში ვუყურებთ: არჩევნებამდე ერთი წლით ადრე ოპოზიციამ უკვე გახსნა ფრონტი ერთმანეთის წინააღმდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ წინასაარჩევნოდ ისინი ერთმანეთის დასაძირად იმუშავებენ და ამით ხელისუფლების საქმეს გააკეთებენ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ რამდენი ჩადგება რიგში ხელისუფლებისთვის მისაყიდად.

***— ასეთი განცხადებებითა და ქმედებებით საზოგადოებასაც და მედიასაც გამოწვევას ხომ არ უკეთებენ?***

— არა, გამოწვევას აკეთებენ-მეთქი, ვერ ვიტყვი. სისუსტე ამ შემთხვევაში ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო. თუ ასე გაგრძელდებოდა, ის 2020 წლამდე წააგებდა არჩევნებს, პირველ რიგში — თავის შიდა სტრუქტურებსა და წევრებში. ამიტომაც ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ მკაცრი ხელი, რასთანაც ასოცირდება გახარია, იყო ერთადერთი სწორი გამოსავალი 2020 წლის არჩევნებისთვის.

სალ ჭკუაზე მყოფი ხელისუფლება არჩევნებამდე 1 წლით ადრე ხელთათმანს არ ესვრის საკუთარ საზოგადოებას და მისთვის მიუღებელ ნაბიჯს არ გადადგამს. „ოცნებამ“ ორ უარესობას შორის ნაკლებად უარესის პრინციპით იმოქმედა.

იდეალური იქნებოდა, ხელისუფლება წასულიყო რადიკალური რეფორმების გზით, რასაც მოჰყვებოდა ანტიკორუფციული წმენდა საკუთარ რიგებში და რასაც მოკლევადიანი ეფექტიც ექნებოდა. რადგან ეკონომიკურ და სოციალურ ძვრებს ერთ წელიწადში ვერავინ მოახდენს, „ოცნებას“ უნდა ეძებნა სხვა ეფექტური ნაბიჯები. თუმცა ჯერჯერობით „ოცნება“ ასეთი ცვლილებების ინიციატივით არ გვევლინება და ძირითადად მაინც მისი საარჩევნო ტაქტიკა განვლილი 8 წლის გადამღერება იქნება ანუ პოლიტიკური სივრცის გაწმენდა სხვა პოლიტიკური მოთამაშეებისგან და ძირითად კონკურენტად ისევ ნაციონალური მოძრაობის დასახვა.

ამას აუცილებლად შეუწყობს ხელს მიხეილ სააკაშვილიც, იმიტომ, რომ მისთვისაც საფრთხეა პროპორციული არჩევნები და მისთვისაც მნიშვნელოვანია, მისი პარტია ოპოზიციურ ველზე ნომერ პირველ მოთამაშედ დარჩეს.

ასე რომ, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა გააგრძელებენ ერთ ნავში ჯდომას ისე, როგორც ამას ვხედავთ 2013 წლიდან დღემდე და ერთი მიმართულებით უსვამენ ნიჩბებს. მათთვის ყველაზე დიდი საფრთხე ახალი პოლიტიკური მოთამაშეები არიან.

კარგი იქნებოდა, „ოცნებას“ პოზიტივზე აგებული კამპანია ეწარმოებინა, რადგან მხოლოდ ძლიერი ხელისა და ანტინაციონალური კამპანიის დემონსტრირებით არჩევნების მოგება რთულიც იქნება და არასამართლიანიც.

# თაკო ჩარკვიანი: „ბოკერია და უგულავა ისე ლაპარაკობენ, თითქოს მიშას დროს ოპოზიციაში ეგენი იყვნენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ივანიშვილს? რა თქმა უნდა, მე ივანიშვილის წინააღმდეგ ყველაფერს მოვაწერ ხელს და ჩემი ქმედებით უკვე მოვაწერე მაშინ, როდესაც გაერთიანებულ ოპოზიციას შევუერთდი, რადგან მივხვდი, რომ საქართველო უფსკრულისკენ მიჰყავდა. მაგრამ, როგორ უნდა დავუჯერო იმ პარტიას, რომელმაც საკუთარ განაყოფს — ნაციონალურ მოძრაობას — ხმები წაართვა და ისე შევიდა პარლამენტში.

მითხარით, რით დაიმსახურა „ევროპულმა საქართველომ“ ნდობა? თავისი განცხადებებით გაერთიანებულ ოპოზიციას რომ უბრახუნებენ 24 საათი? იმიტომ ვერ მივიღებ მათგან ამას, რომ ისინი გვებრძვიან და გაცხადებული ოპონენტია. რასთან დაკავშირებით უნდა მქონდეს ნდობა „ევროპული საქართველოს“ განცხადებებთან დაკავშირებით?! რატომ უნდა ვენდო?! თუ ერთ პუნქტს მაინც მეტყვით, კი ბატონო.

წინა ხელისუფლების დროს უშიშროების მდივანი იყო ბოკერია. ბოკერია და უგულავა ისე ლაპარაკობენ, რომ ვფიქრდები, მიშას დროს მე ვიყავი ოპოზიციაში თუ ეგენი? კი ბატონო, „ოცნების“ წინააღმდეგ ნებისმიერ მემორანდუმზე მოვაწერ ხელს.

სერგი კაპანაძე რომ გამოსულიყო და ბრიფინგი მიეძღვნა ბოკერიასთვის, ოთო კახიძისა და ჩერგოლეიშვილისთვის, მაშინ დავიჯერებდი. მე რომ ბრიფინგს მიძღვნის... მომიძღვნას და იყოს. მხოლოდ გავიღიმებ და ვეტყვი: „გივი, გიცანი“.

ყველანაირ მემორანდუმს მოვაწერ ხელს, მაგრამ მათ არ ვენდობი. არ ვენდობი პარტიას, რომელმაც საკუთარ განაყოფს უღალატა და მოპარული ხმებით შევიდა პარლამენტში. რაღაცნაირად არ ვენდობი და რა გავაკეთო?!

***— სერგი კაპანაძემ თქვენს განცხადებას „ასავალ-დასავალისა“ და „ქართული ოცნების“ სტილში გაკეთებული განცხადებები უწოდა. რა პასუხი გაქვთ?***

— მე უკვე ყველაფერი ვუპასუხე. საქართველოში სერგი კაპანაძის ასავალ-დასავალიც იცის ხალხმა, ბოკერიას ასავალ-დასავალიც და თაკო ჩარკვიანის ასავალ-დასავალიც. ასე რომ, სერიოზულ ნაწილში გავეცი პასუხი... სერგის ქილიკიღა აკლდა ქართულ იუმორისტულ სპექტრს.

***— მეორე ტურზე საუბრისას საინტერესო ფრაზა თქვით, როდესაც აღნიშნეთ, საკითხავია, ვინ ვის დაუჭირა მხარიო. რას გულისხმობდით?***

— ასეა ეს. მაგ პარტიაში არიან ადამიანები, რომელთა მიმართაც ცუდად განწყობილი არ ვარ. ეს იმ ადამიანებმაც იციან, მაგრამ არანაირი განცხადება არ გააკეთეს. თვეებია ვითმენ, რომ გამოდის ოთო კახიძე და გაერთიანებულ ოპოზიციას სისტემატურად ნაციონალურ მოძრაობას უწოდებს. კანონი მიიღო ივანიშვილმა ბლოკების დასაშლელად იმისთვის, რომ ჩვენი კოალიცია დაშალოს.

***— ეს გასაგებია, მაგრამ რით გამოიხატებოდა ის, რაზეც მინიშნებას აკეთებთ, რომ რეალურად არ უჭერდნენ ვაშაძეს მხარს?***

— ეს არის მათი რეალური ქმედება. როდესაც 20 ივნისის მოვლენების დროს გამოვიდნენ და ის განცხადებები გააკეთეს, ეს ამას ნიშნავს.

***— მეორე ტურზე გეკითხებით.***

— იმ პერიოდშიც ძალიან არასიმპათიური განცხადებები კეთდებოდა. ჩერგოლეიშვილს რა პოზიციაც ჰქონდა, კარგად მახსოვს, ეთერში ერთად ვისხედით. შეგიძლიათ ამოიღოთ მისი განცხადებები და დაინახავთ, როგორ ებრძოდა გრიგოლ ვაშაძეს. ძალიან დიდი ხანი არ ვაქცევდი ამას ყურადღებას იმიტომ, რომ არ მინდოდა რაღაც განხეთქილების შეტანა.

ახლა არის უსერიოზულესი ბრძოლა და ვისაც შევამჩნევ, რომ მხოლოდ დეკლარირებს და საქმით აკეთებს სხვა რამეს, ვიტყვი. 20 ივნისი გააკეთა ხალხმა და შეახოცეს, ეს ნაციონალურმა მოძრაობამ გააკეთაო. არავის გაუპროტესტებია ეს განცხადება.

მელიაზე დაწერა ჩერგოლეიშვილმა, რომ დაიჭირონ, არ დადნება ციხეშიო. მერე გამოვიდა ოთო კახიძე და მანაც ნაციონალურ მოძრაობაზე ილაპარაკა 20 ივნისის აქციის კონტექსტში.

1 წლის განმავლობაში ტალახის ოკეანეში გავიარეთ, ესენი რაღაცას წამოიწკმუტუნებენ და ყველაფერში ივანიშვილთან თანხვედრაში არიან, მის წისქვილზე ასხამენ წყალს. დღეს ვინც გაერთიანებულ ოპოზიციას ურტყამს, ის ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს იმიტომ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთადერთი ძალა იყო, რომელმაც დიდი დარტყმა მიაყენა „ქართულ ოცნებას“.

პოლიტიკური გარიგება ყოველთვის არის განცხადებები და მოქმედებები.

ვისთან მოვაწერო ხელი? ვერ გავარკვიე, ჩერგოლეიშვილი მართავს პარტიას, ბოკერია თუ ვინ? საზოგადოების გარკვეულ ნაწილს არ გვაქვს მაგაზე პასუხი. თქვენ იცით? ჩემი პოზიციაა ასეთი, რომ მაგ პარტიას არ ვენდობი. მე მემორანდუმზეც ხელი მოვაწერე და ივანიშვილს დიდი ბრძოლაც გამოვუცხადე. რა პრობლემაა მემორანდუმზე ხელის მოწერა?! მთავარია შესრულება.

მერე არაფერს ასრულებენ და ეს არის პრობლემა.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

# სომხეთში პრორუსული ძალები დემოკრატიული პროცესების წინააღმდეგ დაირაზმნენ





ევროსაბჭოს ე.წ. სტამბოლის კონვენციის შესაძლო რატიფიცირების ირგვლივ სომხეთში ბოლო პერიოდში დისკუსიები და გარკვეული ვნებათაღელვაა.

კონვენცია იმ სამართლებრივ მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს განსაზღვრავს, რომლებიც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად ხელმომწერმა ქვეყნებმა უნდა აამოქმედონ. კონვენციის მხარეები ძალადობის პრევენციისა და დაზარალებულთა დაცვის ვალდებულებას იღებენ.

სომხეთში ისეთი კატეგორიის ადამიანებიც არიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ კონვენცია ერთგვარ „პანდორას ყუთად" იქცევა, ტრადიციულ ღირებულებებს, მამაკაცების დომინირებას შეარყევს და სხვა. თუმცა სომხეთის იუსტიციის სამინისტრო ოფიციალურ განცხადებებში აღნიშნავს, რომ დოკუმენტი რამე საფრთხეს ნაციონალური ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ არ ქმნის და მეტიც, არავის აძალებს მათზე უარის თქმას.

უწყება აზუსტებს, რომ კონვენცია მხოლოდ ადგენს ფაქტს იმის თაობაზე, რომ ტრადიციები, კულტურა და რელიგია არ შეიძლება იყოს ქალთა მიმართ ძალადობის გამამართლებელი.

2010-2017 წლებში სომხეთში ქალთა მკვლელობის ათეულობით შემთხვევა დაფიქსირდა, ექსპერტები აცხადებენ, რომ სომხეთში ყოველი მეხუთე ქალი მუდმივი ძალადობის მსხვერპლია.

კონვენციის რატიფიცირების მოწინააღმდეგეებს შორის გამოკვეთილი სახეები ჩანან. მათ შორის განსაკუთრებულად აქტიურობს პარტია „სოციალური სამართლიანობის სახელით", რომელსაც არმან გუკასიანი ხელმძღვანელობს. ამ პარტიის ირგვლივ შეკრებილი ადამიანები ორიოდე წლის წინ გამალებით იბრძოდნენ სომხეთში „ოჯახში ძალადობისა და მასთან ბრძოლის შესახებ" კანონპროექტის წინააღმდეგაც.

გუკასიანი და მასთან დაახლოებული პირები ღიად აკრიტიკებენ დასავლეთიდან მომდინარე დემოკრატიულ პროცესებს და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სომხეთის საზოგადოებამ რუსეთის ორბიტა არ დატოვოს. საინტერესოა, არიან კი ისინი თავიანთ მოსაზრებებში და ამ საქმიანობაში თავისუფალნი? თუ რაიმე სარგებელს იღებენ იმის მტკიცებით, რომ რუსეთი კავკასიის ერთადერთი ხსნაა, ოჯახში ძალადობა სომხეთში არ არსებობს, რუსი სამხედროები სომეხ მოქალაქეებს არ ხოცავენ? ამასთან დაკავშირებით სიმართლის დადგენა სხვადასხვა მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფაქტების მეშვეობით შეგვიძლია.

## რუსულ ფულს „სუნი" არა აქვს

დიდი ხანია, არმან გუკასიანი ამბობს, რომ დასავლეთიდან სომხეთში გადარიცხული გრანტები, რომლებიც სხვადასხვა რეფორმასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზეა გამიზნული, სინამდვილეში ხაფანგია. ეს ფინანსური დახმარება სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ეფექტურად ამუშავებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ არსებული ღირებულებების დაკნინებას და ერის დეგრადირებას იწვევს.

რუსეთიდან მიღებულ ფულთან მიმართებით მას სულ სხვა და გასაკვირად საპირისპირო განწყობა აქვს. ირკვევა, რომ ის და მისი პარტნიორი ორგანიზაციები მშვენივრად საზრდოობენ რუსული გრანტებისა და ფინანსური რესურსების გამოყენებით. ასევე, არმან გუკასიანი და პარტიაში მისი მოადგილე ცოვინარ კოსტანიანი ხშირად აქვეყნებენ ფოტოსურათებს რუსეთის ელჩებთან, ცნობილ რუს პოლიტიკოსებთან, მათ შორის ვლადიმერ ჟირინოვსკისთან და სხვა. არმან გუკასიანი და ცოვინარ კოსტანიანი „სპუტნიკ არმენიას" მუდმივი, შეუცვლელი და ღვაწლმოსილი რესპონდენტები არიან. მათ ადგილობრივი „სპუტნიკი" სომხეთის საზოგადო მოღვაწეებად წარადგენს ხოლმე და ყოველთვის ეკითხება აზრს იმ თემებზე, რომლებიც რუსეთისთვის „მტკივნეულ" ასპექტებს ეხება.

არმან გუკასიანს თბილი ურთიერთობა აქვს რუსეთის მოქალაქესთან და ცნობილ პოსტკომუნისტ იდეოლოგ სერგეი კურგინიანთან. ის პუტინთან დაახლოებული პირია. 2014 წელს, დონეცკთან „ბუკით" მალაიზიის „ბოინგის" ჩამოგდებამდე ორიოდე კვირით ადრე, კურგინიანი ამბობდა, რომ „ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოებას ის პირები წარმოადგენენ, რომლებიც „ბუკებს" არემონტებენ".

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის, უცხო ქვეყნებთან რეგიონული და კულტურული კავშირების სამმართველო (ICTFC) 2019 წლის მარტის ბოლოს რეგულარულ ფინანსურ დახმარებას უწევდა გუკასიანს, რაც სავარაუდოდ ხმარდებოდა ასევე მის ორგანიზაციას „ხალხის ხმა" და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციას „ჰუმანიტარული განვითარებისთვის". ეს თანხები გამოყენებულ იქნა პარტია „სოციალური სამართლიანობის სახელით" განვითარებისთვის საჭირო აქტივობებისთვისაც. ასევე, ბოლო თვეებში გუკასიანი აქტიურად ცდილობდა თანამშრომლობას რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და 2019 წლის მარტის ბოლოს მიაღწია შეხვედრას სომხეთში რუსეთის ელჩ სერგეი კოპირკინთან. ეს შეხვედრა ICTFC-მ მოაწყო. ასევე, შეხვედრაში მონაწილეობა კვლევითი-ანალიტიკური ორგანიზაცია „ინტეგრაციისა და განვითარების" დირექტორმა არამ საფარიანმა მიიღო. მისი ორგანიზაცია დიდი ხანია მოიაზრებს ICTFC-ს, როგორც სომხეთში პოტენციური „რბილი ძალის" გამტარებელ პარტნიორს.

საფარიანი ასევე ევრაზიული საექსპერტო კლუბის კოორდინატორია. ის ფიქრობს, რომ რუსეთი სომხეთის მთავარი და ერთადერთი სტრატეგიული პარტნიორია ყველა სფეროში და ახალმა ხელისუფლებამ მოსკოვთან ურთიერთობა კიდევ უფრო უნდა გააღრმავოს. საფარიანი დარწმუნებულია, რომ „რუსულ-სომხური სამხედრო თანამშრომლობა სომხეთის უსაფრთხოების კარკასია".

ამას გარდა, „რუსულ" შეხვედრას დაესწრო საინფორმაციო და ანალიტიკური ცენტრ „ლუისის" ხელმძღვანელი აიკ აივაზიანიც, რომელსაც ICTFC-ი სომხეთში სანდო პრორუსულ „რუპორად" აღიქვამდა. სომხეთის ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით დგინდება, რომ წლების წინაც საინფორმაციო-ანალიტიკურმა ცენტრმა „ლუისმა" გრანტისთვის მიმართა გორჩაკოვის სახელობის რუსულ ფონდს, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი უშუალოდ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვია.

ფონდი 2012 წელს დიმიტრი მედვედევის ბრძანებით შეიქმნა და რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

## კიდევ რა თემებზე „მუშაობენ" გუკასიანი, კოსტანიანი და სხვები

2019 წლის თებერვალში არმან გუკასიანმა და ცოვინარ კოსტანიანმა სოციოლოგიური კვლევა ჩაატარეს. შეეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ ერევნისა და გიუმრის მცხოვრებლები რუსული სამხედრო ბაზის არსებობას სომხეთის ტერიტორიაზე მიესალმებიან. 1.200 ადამიანი გამოკითხეს და დაადგინეს, რომ აქედან 58% პოზიტიურად არის განწყობილი 102-ე ბაზის მიმართ.

და ეს იმ დროს, როცა სომხეთში რუსი სამხედროების ყოფნის საწინააღმდეგო აქციები მძვინვარებდა. გუკასიანმა თემის კომენტირებისას აღნიშნა, რომ ავეტისიანების ოჯახის ტრაგედია საყოფაცხოვრებო ხასიათის ინციდენტი და უბრალოდ უბედური შემთხვევა იყო, ხოლო გარკვეული ძალები ამის გამოყენებას ხალხის „ასაბუნტად" ცდილობენ. მისი აზრით, რუსი სამხედროებისგან სომეხ ხალხს არანაირი საფრთხე არ ელის. არადა, რეალურად ხალხის აღშფოთება და პროტესტები არა „საყოფაცხოვრებო ხასიათის ინციდენტმა", არამედ რუსი სამხედროების მუდმივმა თავგასულობამ და სისასტიკემ გამოიწვია.

ჯერ კიდევ 2015 წელს რუსმა სამხედრომ, ვალერი პერმიაკოვმა, ავეტისიანების ოჯახის 7 წევრი მოკლა, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვიც იყო. 2018 წლის დეკემბერში კი 57 წლის ჯულიეტა გუკასიანს, რომელიც გიუმრის ქუჩებს გვიდა, ზურგიდან თავს დაესხნენ და სასიკვდილოდ სცემეს. გარდაცვალებამდე მან იმის თქმა მოასწრო, თუ ვინ იყო თავდამსხმელი.

რა თქმა უნდა, მკვლელები რუსეთმა დაიცვა. წელს კი ბაზაზე დისლოცირებულმა სამხედროებმა სოფელ პანიკის მიმართულებით, მოულოდნელად სროლა ატეხეს. მოგვიანებით „გაირკვა", რომ ეს უბრალოდ სამხედრო სწავლება იყო, თუმცა მოსახლეობის წინასწარ გაფრთხილება თავში აზრადაც არავის მოსვლია, ამიტომ შეშინებული მოსახლეობა სრულ კოშმარში აღმოჩნდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, გუკასიანი და კოსტანიანი ჯიუტად ამტკიცებენ, რომ ხალხი ბედნიერია რუსული ბაზის არსებობით.

„ხალხის ხმის" მეორე ექსპერტი და პარტიაში „სოციალური სამართლიანობის სახელით" მეორე პირი, რომელიც საკმაოდ ხშირად გამოდის ანტიდასავლური განცხადებებით, ცოვინარ კოსტანიანია. როგორც ირკვევა, ICTFC-ს მიერ დაფინანსებული ქმედებების კოორდინირებას გუკასიანი სწორედ მასთან ახდენს.

როგორც მის ერთ-ერთ ძველ ინტერვიუში ვკითხულობთ, მან თურმე მეზობელი ქვეყნების გამოცდილება გამოიკვლია და დაასკვნა, რომ საქართველოში აშენებულ ლუგარის სახელობის ლაბორატორიაზე იმდენად დიდი თანხა იყო დახარჯული, რომ ეს მასში, ანუ ცოვინარში, დიდ ეჭვებს აღძრავს. ქალბატონი ცოვინარი აღშფოთებული იყო მსგავსი ლაბორატორიის არსებობით სომხეთშიც და სიტყვა სიტყვით იმეორებდა იმ რუსულ პროპაგანდისტულ ნარატივს, რომელსაც ლუგარის ლაბორატორიების არსებობის ბოლო წლებში ასე ტირაჟირებენ კრემლი და მისი დეზინფორმაციული მანქანის ჭანჭიკები. ქალბატონ ცოვინარს ასევე არ მოსწონს ის კანონპროექტები, რომლებსაც სომხეთის მთავრობა ბოლო წლებში იღებს. მის მიერ დაწუნებულ კანონპროექტს შორის, 2017 წლის 30 დეკემბერს სომხეთის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ის კანონიც აღმოჩნდა, რომელიც ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და ძალადობის მსხვერპლთა დახმარებას ისახავდა მიზნად.

საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრ „ლუისის" ხელმძღვანელი აიკ აივაზიანი ასევე არაერთი წელია, სომხეთში დასავლური გავლენების წინააღმდეგ ხისტად გამოდის. ერთ-ერთი მრგვალი მაგიდის გამართვისას მან განაცხადა:

– ის სხვადასხვა კანონპროექტები, რომლებსაც ევროკავშირი სომხეთს თავს ახვევს (დისკრიმინაციის, ოჯახის კოდექსში შესწორებები, სისხლის სამართლის კოდექსის ახალი პროექტი, ბავშვთა უფლებების დაცვის, დასაქმებულთა უფლებების შესახებ კანონები) კიდევ ერთხელ აჩვენებს მოსახლეობას, რომ ევროკავშირი წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც ცდილობს, სომხების ტრადიციული ღირებულებები შეცვალოს, დაანგრიოს ოჯახები.

მარტო ამ წინადადების წაკითხვის მერე ხდება გასაგები, თუ რა დავალებები შეიძლება ჰქონდეს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

სხვათა შორის, ამავე მრგვალი მაგიდის ფარგლებში მთავარი განსახილველი თემა იყო „საერთაშორისო სტრუქტურების და ფონდების დესტრუქციული საქმიანობა სომხეთში".

ჩამოთვლილი პირების განცხადებების და მათი მოსაზრებების გაცნობის შემდეგ რჩება მკაფიო შთაბეჭდილება, რომ მათი ერთადერთი მიზანია არა „სოციალური სამართლიანობის" დაცვა, სომხეთისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებების დაცვა ან ხელისუფლების ჯანსაღი კრიტიკა, არამედ ყველა იმ პოლიტიკური ძვრისა თუ დემოკრატიული რეფორმისთვის სახელის შებღალვა, რომელიც რუსულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

დღეისთვის, სომხეთში კვლავ ძალიან საყურადღებო პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესები მიმდინარეობს; აღსანიშნავია ისიც, რომ სომხეთი ერთადერთი ქვეყანაა ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში, რომელმაც ევროკავშირთან პარტნიორობის გაფართოებაზე შეთანხმებას მოაწერა ხელი.

„ხავერდოვანმა რევოლუციამ", რომელიც სომხეთში 2018 წლის გაზაფხულზე მოხდა, სომხეთს ევროკავშირთან დაახლოების ახალი, საკმაოდ ამბიციური პერსპექტივები გაუხსნა, რომელთა შეფერხებაც მხოლოდ ერთადერთ სახელმწიფოსა და მის მიერ ადვილად მანიპულირებად პირებს სურთ.

# იქნება თუ არა სოხუმში მორიგი რევოლუცია?

მარიამ მჭედლიშვილი

**17 სექტემბერს ოკუპირებული აფხაზეთის უზენაესი სასამართლო განიხილავს პარტია „ამცახარას" ლიდერის, დე ფაქტო საპრეზიდენტო კანდიდატის, ალხას კვიცინიას სარჩელს. იგი დე ფაქტო არჩევნების შედეგს არ ეთანხმება და მის გაბათილებას მოითხოვს.**

ამ დღეს მოსახლეობას „ამცახარამ" სახალხო შეკრებისკენ მოუწოდა. ამავე დროს, გამარჯვებულად გამოცხადებული რაულ ხაჯიმბა მოლოცვებს იღებს. მას გამარჯვება რამდენიმე დღის წინ მიულოცა რუსეთის პრეზიდენტმა.

უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა კვიცინიას შუამდგომლობა სასამართლო პროცესის დამთავრებამდე გამარჯვებულის არაღიარების თაობაზე. ეს ამყარებს ეჭვს, რომ სასამართლო ხაჯიმბას ვერ დაუპირისპირდება და ყველაფერს უცვლელად დატოვებს.

8 სექტემბერს გამართული არჩევნების მეორე ტურის შედეგებით უკმაყოფილო ხალხი ქუჩაში შედეგის გამოცხადებისთანავე გამოვიდა. მაშინ ალხას კვიცინიამ შეკრებილებს დაშლისკენ მოუწოდა და ბრძოლის სამართლებრივი გზა აირჩია.

## „ამცახარამ" სახალხო შეკრება დააანონსა




აფხაზეთში სასამართლოსადმი ნდობა მინიმალურია. 17 სექტემბრის სხდომის წინ მოსამართლეები სინდისზე შეაგდეს საზოგადო მოღვაწეებმა. მათ გამოთქვეს იმედი, რომ ალხას კვიცინიას სარჩელზე სასამართლო კანონიერ და სამართლიან განაჩენს გამოიტანს.

– ჩვენი საზოგადოებისთვის ისევ გარდამტეხი მომენტი დადგა. სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, აირჩევს თუ არა ჩვენი სახელმწიფო სამართლებრივ გზას. ვიმედოვნებთ, რომ აფხაზეთის უზენაესი სასამართლო შეასრულებს იმ მნიშვნელოვან მისიას, რომელიც ეკისრება სასამართლოს დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში, – აცხადებენ საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები.

მათი თქმით, აფხაზეთში სასამართლო სერიოზულ ზეწოლას განიცდის. ახლა სასამართლოს თავისუფლება დამოკიდებულია უზენაესი სასამართლოს თითოეული წევრის ღირსებასა და პროფესიონალიზმზე.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ არჩევნებში არც ერთი კანდიდატი გამარჯვებული არ არის. ხმების დათვლისას ცესკომ დაარღვია კანონი და არ გაითვალისწინა ბიულეტენები „ყველას წინააღმდეგ". ნეიტრალური ამომრჩევლები სოციალურ ქსელებში არკვევენ, არის თუ არა პოზიცია „ყველას წინააღმდეგ" ხაჯიმბას წინააღმდეგ მიცემული ხმები? ეს მოქალაქეები ასკვნიან, რომ შეიქმნა სამართლებრივი კოლიზია, კანონმდებლობა კი ხარვეზიანია.

მეორე ტურის შემდეგ შექმნილი სიტუაციიდან მხარეებს გამოსავალი შესთავაზა ჟურნალისტმა ინალ ხაშიგმა. მან მოუწოდა ხაჯიმბას, პრემიერად დანიშნოს ასლან ბჟანია.

შეგახსენებთ, რომ ფაქტობრივ საპრეზიდენტო არჩევნებში ალხას კვიცინიამ მოულოდნელად დაავადმყოფებული ასლან ბჟანია ჩაანაცვლა.

აფხაზეთში დარწმუნებული არიან, რომ ბჟანია მოწამლეს. აფხაზეთის პროკურატურა ამას კატეგორიულად გამორიცხავს.

ხაჯიმბამ ჟურნალისტის მოწოდება ყურად არ იღო.

8 სექტემბრის შემდეგ აფხაზეთში გაისმა უკმაყოფილება აფხაზეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობის მიმართ. ანტისომხური გამონათქვამები დაგმო პარტია „აფსნიმ". პარტიის განცხადებით, ინტერნეტში გაჩნდა პუბლიკაციები, რომლებიც ლახავს სომეხი თანამემამულეების ღირსებას, რაც სამართლიან აღშფოთებას იწვევს. პარტიის წევრების თქმით, სომეხი ხალხი აფხაზეთის მრავალეროვნული ხალხის ნაწილია და ის ხმას აძლევს მათ, ვინც, მათი აზრით, ქვეყანას გამოადგება.

მეორე ტურის შემდეგ კანდიდატებს აფხაზეთში მცხოვრები ქართველები არ გახსენებიათ. ზოგადად, ბჟანიასა და კვიცინიას პროგრამაში შეტანილია ქართველი მოსახლეობის უფლებები. გამარჯვებულად გამოცხადებულმა ხაჯიმბამ კი განაცხადა, რომ საზოგადოების ყველა ჯგუფთან დიალოგისთვის მზად არის. ჯერჯერობით ხაჯიმბამ საკუთარ ოპონენტებთან საერთო ენის გამონახვაც ვერ მოახერხა.

ამას ემატება სოციალური პრობლემები და კრიმინალის თარეში.

აფხაზეთში მოვლენები ისე ვითარდება, რომ შეიძლება მორიგი რევოლუცია მოხდეს. თვითონ ხაჯიმბა ხელისუფლებაში 2014 წლის მოვლენების შედეგად მოვიდა.

ამ მოვლენებს აფხაზეთში გადატრიალებასა და რევოლუციას უწოდებენ.

# ქართველი მეცნიერი ალექსანდრე სამბელაშვილი აშშ-ში მოკლეს

## დაკავებულია ერიკ კრავჩუკი

მედტრონიკის მეცნიერ-გამომგონებელი, რომელიც ივლისში მინეაპოლისის ცენტრში ნაცემი იპოვეს, მიღებული ტრავმების გამო რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა.

42 წლის ალექსანდრე სამბელაშვილი 23 აგვისტოს გარდაიცვალა, თუმცა ცნობა ამის შესახებ მოგვიანებით გავრცელდა. მის მკვლელობაში ეჭვმიტანილი 28 წლის მამაკაცი ერიკ კრავჩუკია, რომელიც ხუთშაბათს დააკავეს.

ამერიკული მედიის ინფორმაციით, სამბელაშვილი უგონო მდგომარეობაში 28 ივლისს იპოვეს მე-5 ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ კლუბში. სამართალდამცავების თქმით, ის გადაყვანილ იქნა უახლოეს საავადმყოფოში, სადაც თავის ტრავმაზე მკურნალობდნენ.

რა მოტივით დაესხა თავს კრავჩუკი სამბელაშვილს, უცნობია.

როგორც გამოძიება ვიდეოკამერების ჩანაწერებზე დაყრდნობით აცხადებს, სამბელაშვილი კლუბში ადგილობრივი დროით 1:30-ზე შედის და კრავჩუკისკენ მიემართება, რაიმე კამათი ან კონფლიქტი არ ჩანს, როდესაც ის კრავჩუკს უახლოვდება, მკვლელობაში ეჭვმიტანილი მას თავში თავით ძლიერად ურტყამს, რის გამოც სამბელაშვილი გონებას კარგავს, უკან ეცემა და თავს იატაკზეც არტყამს.



მიღებული მძიმე ტრავმების გამო სამბელაშვილი რამდენიმე კვირის განმავლობაში კომაში იყო.

წარმოშობით ქართველი სამბელაშვილი მინესოტის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, ბიოსამედიცინო ინჟინერიაში კი დოქტორის ხარისხი ოჰაიოს უნივერსიტეტში მიიღო. ის 17 რეცენზირებული სტატიის ავტორია და შეტანილი აქვს 25-ზე მეტი პატენტი.

ასევე მან შეიმუშავა ალგორითმი, რომელიც გახდა საკვანძო ფუნქცია გულის რიტმის თერაპიისთვის მედტრონიკის პროდუქტებში და გულის უკმარისობის მქონე ასეულობით ათას პაციენტს სრულფასოვან ცხოვრებაში დაეხმარა.

სამბელაშვილს მეუღლე და 2 მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

იმ შემთხვევაში, თუ კრავჩუკს ბრალი დაუმტკიცდება, მას 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# ფ.ს.-მ საკუთარი მანქანა მოიპარა და უცხოეთში გაიქცა

## რა მოხდა ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, მანქანის ქურდობის ფაქტი არ დადასტურდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოში 12 სექტემბერს შევიდა შეტყობინება, რომ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩიდან მიცუბიშის ფირმის ავტომობილი მოიპარეს.

– სამართალდამცველები ოპერატიულად გამოცხადდნენ შემთხვევის ადგილზე და დაიწყეს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

გამოძიების მსვლელობისას დადგინდა, რომ ავტომობილის მფლობელმა, საქართველოს და ისრაელის ორმაგი მოქალაქეობის მქონე ფ.ს.-მ, სადაზღვევო კომპანიისგან თანხის მართლსაწინააღმდეგოდ მიღების მიზნით, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, მისი კუთვნილი ავტომობილი მეგობრის ავტოფარეხში დააყენა, ხოლო სამართალდამცველებს განუცხადა, რომ ავტომობილი მოპარეს.

ავტომობილის გადამალვის ფაქტს ავტოფარეხის მეპატრონე, ფ.ს.-ს მეგობარი ა.ა.-ც ადასტურებს.

ავტომობილის ქურდობაზე გაკეთებული შეტყობინების შემდეგ ფ.ს.-მ საქართველოს საზღვარი მალევე დატოვა, – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

# სუსმა გარემოს დაცვის ოფიცერი ვაჟა ბ. დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, უკანონო ქმედების ჩასადენად ქრთამის მიცემის ფაქტზე გარემოს ზედამხედველობითი დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს ოფიცერი ვაჟა ბ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვაჟა ბ-მ 2019 წლის აგვისტოში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს ოფიცერს იმის სანაცვლოდ, რომ მას საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მორიგეობისას არ შეემოწმებინა უკანონოდ მოპოვებული 48 კუბური მეტრის ხის მასალით დატვირთული სატვირთო ავტომანქანები, ქრთამის სახით შესთავაზა 1.800 ლარი, ხოლო წინასწარ 900 ლარი გადასცა.

გამოძიება ქრთამის მიცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 4-დან 7 წლამდე ითვალისწინებს). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

# ჭავჭავაძის გამზირზე მუშა დაიღუპა

## ის ილიაუნის დაკვეთით მუშაობდა

15 სექტემბერს ჭავჭავაძის გამზირზე მიწისქვეშა სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს მუშა დაიღუპა.

სამუშაოების დროს მიწა ჩამოიშალა და მუშა მოიყოლა.

ადგილზე მისულ მაშველებს მუშა გარდაცვლილი დახვდათ. მათ გარდაცვლილი მუშა მიწის მასიდან ამოიყვანეს.

მუშა სამუშაოებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაკვეთით ასრულებდა და მას კავშირი არ აქვს მერიის მიერ ჭავჭავაძის გამზირზე დაწყებულ სამუშაოებთან.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ქეთევან ლაკირბაიას განცხადებით, უნივერსიტეტის ეზოს რეაბილიტაციისას გარდაცვლილი მუშა კომპანია „ენ ეს გრუპის“ თანამშრომელია.

როგორც ლაკირბაიამ ინტერპრესიუსს განუცხადა, კომპანია „ენ ეს გრუპი“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ა და ე კორპუსებს შორის ეზოების მოწესრიგებისა და საკანალიზაციო ქსელის გამოცვლის სამუშაოებს აწარმოებს.

– უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით მე ვერაფერს გეტყვით. ადგილზე სამუშაოებს აწარმოებდა კონტრაქტორი კომპანია „ენ ეს გრუპი“. ჩვენ ტენდერი გამოცხადებული გვქონდა ეზოს რეაბილიტაციაზე და აგვისტოში გავაფორმეთ ხელშეკრულება გამარჯვებულ კომპანიასთან.




რაც შეეხება გარდაცვლილს, სამწუხაროდ, მასზე არ მაქვს ინფორმაცია. ის არ იყო ჩვენი თანამშრომელი – „ენ ეს გრუპის“ თანამშრომელია. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, სხვა დაშავებული არავინ არის.

როგორც მითხრეს, ორმოში ჩავიდა და ზემოდან მიწა დაეყარა. ორმო საკანალიზაციო ჭა იყო თუ უბრალოდ გაჭრილი ორმო, ვერ გეტყვით, რადგან ეზოს რეაბილიტაცია და საკანალიზაციო სისტემის გამოცვლის სამუშაოები მიმდინარეობს.

კონკრეტულად ამ ტერიტორიაზე, ა კორპუსის მიმდებარედ, 600 ათასი ლარის სამუშაოები უნდა განხორციელდეს და პროცესი ოქტომბრის დასაწყისში უნდა დასრულდეს.

მომხდარის დამატებითი დეტალები ჩემთვის უცნობია, – განაცხადა ლაკირბაიამ.

# 56.345 ლარის ონლაინსესხის მოტყუებით აღებისთვის ა.ხ. ბათუმში დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის მარტიდან კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევისა და თაღლითობისთვის ძებნილი, 1986 წელს დაბადებული ა.ხ. ბათუმში დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 2015-2016 წლებში მოიპოვა 10-მდე პირის



ნდობა, რის შემდეგაც სხვადასხვა კომერციულ ბანკში გაახსნევინა ანგარიშები, თითოეულ ანგარიშზე გაააქტიურებინა ინტერნეტბანკი და გამოართვა საბანკო და სხვა პერსონალური მონაცემები.

ამის შემდეგ ა.ხ.-მ მათი გამოყენებით აიღო ონლაინსესხები, თაღლითურად დაეუფლა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულად თანხას – ჯამში, 56.345 ლარის ოდენობით და მიიმალა.

2019 წლის მარტში, ბრალდებულს გორის რაიონულმა სასამართლომ, აღკვეთი ღონისძიების სახით, დაუსწრებლად შეუფარდა პატიმრობა, რის შემდეგაც იგი ქვეყნის მასშტაბით იძებნებოდა.

გამოძიება თაღლითობისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# ბარსელონაში საქართველოს 3 მოქალაქე დააკავეს

ბარსელონაში პოლიციამ საქართველოს 3 მოქალაქე დააკავა.

დაკავებულები დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები არიან და ბინების გაქურდვაში არიან ეჭვმიტანილები.

ისინი საცხოვრებელ სახლებს წინასწარ არჩევდნენ და მეპატრონეების დასასვენებლად გამგზავრების შემდეგ ძარცვავდნენ.

ამოღებულია მოპარული ნივთები, მათ შორის – ძვირფასეულობა.

# ლაფანყურში ავარიაში დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გარდაიცვალა




თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაფანყურში ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ექიმის თქმით, 32 წლის მამაკაცი კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ჭრილობები აღენიშნებოდა. ის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

მეორე დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია.

სოფელ ლაფანყურში 13 სექტემბერს ოპელის მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, ავტომანქანა ხეს შეეჯახა და ამობრუნდა.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# ასპინძაში ტრაილერები ერთმანეთს შეეჯახა

## 1 მძღოლი დაშავდა




14 სექტემბერს ასპინძაში დაახლოებით 18:00 საათზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მოსახვევში ერთი ტრაილერი მეორეს დაეჯახა. შემთხვევის შედეგად ერთი მძღოლი დაშავდა.

– ერთ ტრაილერს მეორეს უკანა მხარეზე ჰქონდა დარტყმული. როგორც ჩანს, ორივე ერთი მიმართულებით მოძრაობდა. ამ მოსახვევში ხშირია ტრაილერების გადაბრუნების შემთხვევები, – ამბობენ ასპინძაში.

შემთხვევის შედეგად შუახნის კაცი, ტრაილერის მძღოლი დაშავდა. იგი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფმა ჯერ ასპინძის საავადმყოფოში მიიყვანა, იქიდან კი ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

საქმეზე შსს-მ გამოძიება სსკ-ის 276 მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გამოიწვია.

*სამხრეთის კარიბჭე*

# ნარკოდანაშაულისთვის გორთან 1 პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული ზ.კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ზ.კ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის ტერიტორიაზე ავტომანქანით გადაადგილებისას შეაჩერეს. პოლიციამ მისი პირადი ჩხრეკისას „მეტადონის“ შემცველი 84,65 გრამი ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# გორის ავტობანზე მანქანას ცეცხლი გაუჩნდა



14 სექტემბერს გორის ავტობანზე მანქანას ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მერსედესის მარკის ავტომობილს მოეკიდა.

ცენტრალურ ავტომაგისტრალზე თბილისის მიმართულებით ავტომობილების გადაადგილება დროებით შეჩერდა. შემთხვევის შედეგად არავინ არ დაშავებულა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიულ მართვის ცენტრ „112-ში შემოსული ინფორმაციის თანახმად, ავტომაგისტრალზე ქალაქ გორის სიახლოვეს ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა.

შეტყობინების მიღებისთანავე, დასახმარებლად გამოცხადდა ფორდის მარკის სახანძრო-სამაშველო მანქანა, რომელმაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გადაწყვეტილებით, ავტომაგისტრალზე მორიგეობა ცოტა ხნის წინ დაიწყო.

შემთხვევის ადგილზე ასევე გამოცხადდა შიდა ქართლის სახანძრო-სამაშველო განყოფილების 4 ჯგუფი. მეხანძრეების დროული რეაგირების შედეგად, უსაფრთხოების ყველა ზომის დაცვით, მოხერხდა ცეცხლმოკიდებული მანქანის ჩაქრობა.

შემთხვევის ადგილზე, 20 მეხანძრე-მაშველთან ერთად, მობილიზებულები იყვნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

# ქუთაისში კაცი ქალს სახლში შეუვარდა და მისი გაუპატიურება ცადა

ქუთაისში, ხარებავას ქუჩაზე, ახალგაზრდა ქალს თავს დაესხნენ. ადგილობრივების ინფორმაციით, მამაკაცი ქალს სახლში შეუვარდა და, სავარაუდოდ, მისი გაუპატიურება ცადა.

ქალმა პატრულის გამოძახება მოასწრო.

ადგილზე მალევე მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები.

შემთხვევა 14 სექტემბერს მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 19-137-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუპატიურების მცდელობას გულისხმობს.




დაკავებულია 1 მამაკაცი. გრძელდება გამოძიება.

## კალეიდოსკოპი

### სხვის სახლში შეჭრილმა მამაკაცმა სადილი მოიმზადა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპაში მძარცველი ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების სახლში შეიჭრა და სადილი მოიმზადა.




პოლიციის მონაცემებით, ბოროტმოქმედმა მოქალაქის სახლში ადგილობრივი დროით დაახლოებით დილის ოთხ საათზე შეაღწია. სახლის პატრონს, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, გაეღვიძა, სამზარეულოში ჩავიდა და აღმოაჩინა, რომ მძარცველს თავისთვის სადილი მოემზადებინა. დაუპატიჟებელი სტუმარი არც კი შემცბარა მასპინძლის დანახვაზე და ურჩია, რომ წასულიყო და ძილი გაეგრძელებინა.

ამერიკელმა პოლიცია გამოიძახა, რის შემდეგაც ბოროტმოქმედი გაიქცა. ის ცხელ კვალზე დანაშაულის ადგილიდან შორიახლოს ტყეში დააკავეს.

პოლიციამ დამნაშავის ვინაობა დაადგინა, ის 19 წლის საზღვაო ქვეითი გევინ კრიმა აღმოჩნდა. დაკავების დროს შედგენილ ოქმში ნათქვამია, რომ შესაძლოა დანაშაულის ჩადენის მომენტში ის ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

### ანაკონდამ კაიმანი ხალხის თვალწინ ძვლებში გადაამტვრია

ამერიკის ნიუ-მექსიკოს შტატის ქალაქ ალბუკერკის მცხოვრები რვამეტრიანი ანაკონდისა და კაიმანის სახეობის ალიგატორის ორთაბრძოლის თვითმხილველი გახდა.



58 წლის ფოტოგრაფი კევინ დული ნავით ბრაზილიის პანტანალის ნაკრძალში სეირნობდა, როდესაც გველის ალიგატორზე თავდასხმას შეესწრო. მისი თქმით, ანაკონდა კაიმანს შემოეხვია და ყველა კიდური გადაუმტვრია. კაიმანი მის მოგერიებას შეეცადა და კისერზე უკბინა, თუმცა გველი წყალქვეშ სწრაფად გაუჩინარდა. ამ ორთაბრძოლის შედეგად კაიმანი დაიღუპა.

დული რეპტილიების ორთაბრძოლის ადგილიდან ცხრა მეტრში იმყოფებოდა.

– წყლის დგაფუნი გავიგონე და დავინახე კაიმანი, რომელიც გველს მარწუხებში ჰყავდა მომწყვდეული, – იხსენებს ფოტოგრაფი, – ორთაბრძოლა დაახლოებით რვა წუთს გრძელდებოდა. ვფიქრობ, ანაკონდას ჰაერი აღარ ეყო და კაიმანი გაუშვა. სწორედ ამ დროს უკბინა მან გველს.

ამერიკელის აღიარებით, ის პირველად გახდა მსგავსი ორთაბრძოლის მხილველი და ამის გამო თავს ბედნიერად გრძნობდა, თუმცა, ამავე დროს, კაიმანიც შეეცოდა.

### დედამ შვილები გაყიდა და ახალი ტელეფონი იყიდა

ჩინეთის პროვინცია ჩჟეცზიანში დააპატიმრეს ქალი, რომელმაც თავისი ახალდაბადებული ბავშვები გასაშვილებლად გაყიდა.



გარიგება 2018 წლის სექტემბერში განხორციელდა. ქალის თქმით, მას დანაშაულისკენ დაგროვილმა ვალებმა და უფულობამ უბიძგა. ბავშვების მამამ მათზე უარი თქვა და გაიქცა, ხოლო მშობლები მის დახმარებაზე უარს იმის გამო ამბობდნენ, რომ ბავშვები ქორწინების გარეშე გააჩინა.

ქალმა ტყუპ ბავშვებში 65 ათასი იუანი აიღო. გაყიდული ბავშვების მამა მასთან მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა. მამაკაცმა ქალი დაიყოლია ფულის გაყოფაზე, რათა მასაც გაესტუმრებინა თავისი ვალები. დარჩენილი თანხით ქალმა კრედიტი დაფარა და ახალი ტელეფონი შეიძინა.

პოლიციისთვის ეს ყველაფერი მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი, სხვა საქმის გამოძიების დროს. გაყიდული ბავშვების დედაც და მამაც დააპატიმრეს. ტყუპებს პროვინცია ანხოიში მიაგნეს და ისინი აღსაზრდელად დედის მშობლებს გადასცეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ირანი საუდის არაბეთის ნავთობობიექტებზე თავდასხმას უარყოფს





ირანი უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ბრალდებას იმის შესახებ, რომ საუდის არაბეთში უპილოტო საფრენი აპარატებით არამკოს ნავთობობიექტებზე თავდასხმის უკან თეირანი დგას.

ამის შესახებ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა.

– ასეთი ბრალდებები უაზრო და გაუგებარია, – თქვა აბას მუსავიმ.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ 14 სექტემბერს ირანი მსოფლიო ენერგომომარაგებაზე უპრეცედენტო თავდასხმაში დაადანაშაულა.

საუდის არაბეთში ორ ნავთობტერმინალზე დრონების თავდასხმის შედეგად ხანძარი გაჩნდა.

მოგვიანებით აფეთქებაზე პასუხისმგებლობა იემენელმა ჰუსიტებმა აიღეს.

კომპანია არამკოს ინფორმაციით, თავდასხმის შედეგად ნავთობის წარმოება დღეში 5.7 მილიონი ბარელით შემცირდება, რაც მსოფლიო ნავთობის გლობალური მიწოდების 5 პროცენტია.

ერაყი უარყოფს მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, მისი ტერიტორია იყო გამოყენებული საუდის არაბეთში ნავთობობიექტებზე თავდასხმისთვის.

ოფიციალურმა ბაღდადმა პირობა დადო, რომ დაისჯება ნებისმიერი, ვინც დააპირებს, ერაყის ტერიტორია გამოიყენოს პლაცდარმად რეგიონში თავდასხმებისთვის.

## ბინ ლადენის ვაჟი მოკლეს



აშშ-ის არმიამ ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე სპეცოპერაცია ჩაატარა. შედეგად ლიკვიდირებულ იქნა ცნობილი ტერორისტ უსამა ბინ ლადენის ვაჟი ჰამზა.

ამის თაობაზე პირადად პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა.

– ჰამზა ბინ ლადენის სიკვდილი უდავოდ ჩვენი დიდი გამარჯვებაა! ამით ალ ქაიდას გამოეცალა სიმბოლო, რომელიც მას წლების განმავლობაში ასაზრდოებდა, – თქვა ტრამპმა.

## უკრაინის პრემიერს შავი და ბალტიის ზღვების გაერთიანება სურს



უკრაინის პრემიერმა გონჩარუკმა მხარი დაუჭირა პროექტს, რომლის მიზანია შავი და ბალტიის ზღვების გაერთიანება. ამ მიზნით სპეციალური არხი უნდა აშენდეს. ორი ზღვაც სწორედ ამ არხის მეშვეობით გაერთიანდება.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, როგორია მისი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, გონჩარუკმა მიუგო, რომ ის მაიდანის მონაწილეა და მისი რუსეთისადმი დამოკიდებულება ცხადია.

– რუსეთი აგრესორი და ოკუპანტია! მას ყოველმხრივ უნდა დავუპირისპირდეთ! – ამბობს გონჩარუკი.

## ერდოღანს ტრამპთან შეთანხმების იმედი აქვს



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ ამერიკელებთან შეთანხმების იმედი აქვს. ერდოღანი აცხადებს, რომ სურს ამერიკული რაკეტების „პეტრიოტის“ შეძენა და თურქეთ-აშშ-ს შორის იმ კრიზისის აღმოფხვრა, რომელიც რუსული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შეძენის შემდეგ წარმოიქმნა.

– ბატონ ტრამპთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა! იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მოგვარდება, – ამბობს ერდოღანი.

## ეგვიპტეში ტერორისტული დაჯგუფება გაანადგურეს




ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრო სინას ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში ტერორისტული დაჯგუფების განადგურების შესახებ იუწყება.

სპეცოპერაციის დროს 3 პოლიციელი დაიჭრა.

ეროვნული უსაფრთხოების ბიურომ მიიღო ინფორმაცია, რომ ტერორისტული დაჯგუფების რამდენიმე წევრი ჯელბანის რაიონში პოლიციასა და სამხედროებზე ტერორისტული თავდასხმების სერიას გეგმავდა. ამავე ინფორმაციით, დაიწყო ტერორისტებზე თვალთვალი და, როდესაც ისინი ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ გეგმის განსახორციელებლად, ალყაში მოაქციეს. ტერორისტებმა სამხედროების მისამართით ცეცხლი გახსნეს.

ორმხრივი სროლის შედეგად ტერორისტული დაჯგუფების ყველა წევრი განადგურებულია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვაქირავებ წინამძღვრიშვილზე 2-ოთახიან, იზოლირებულ ბინას, გარემონტებულს, ყველა საჭირო ნივთით. ბინას შესასვლელი აქვს სადარბაზოდან. ქუჩაში მეტალო-პლასტმასის ფანჯრებითა და აივნით. ფასი 700 ლარი. მაკლერები არ გამომეხმაუროთ. ტელ: 597-46-40-60.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

# ბათუმის დინამო ლიდერობას ინარჩუნებს

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**დილა-რუსთავი 0:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**დილა:** ჩოჩიშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, ჩადუნელი, იენდეუნტი, ქურდაძე (რაზმაძე 58), ფორტესი, კუცია, ნონიკაშვილი, (სპანდერაშვილი 90), გაგნიძე (ნონდი 62), გოშთელიანი

**რუსთავი:** მამარდაშვილი, ლაცაბიძე, ნოზაძე, ბუგულოვი, ვასაძე, სილაგაძე, (თევზაძე 90), გუჯაბიძე, სიჭინავა (ძალამიძე 76), ქოჩლაძე, ბ.ქავთარაძე (კიტეიშვილი 90), იმნაძე

შეხვედრა გორში თენგიზ ბურჯანაძის სახელობის არენაზე გაიმართა და ერთმანეთს ეროვნულ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლი დილა და რუსთავი დაუპირისპირდნენ. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე ორივე გუნდისთვის თითოეულ ქულას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. სწორედ ქულა გახდა გუშინდელ შეხვედრაში დილასა და რუსთავის მონაგარი – მატჩი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა.

27 ტურის შემდეგ გორის დილას 28 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-8 ადგილზე იმყოფება, რუსთავის აქტივში 30 ქულაა და ამ მაჩვენებლით გუნდი მე-7 პოზიციას იკავებს.

**დინამო (ბთ)-ლოკომოტივი 2:1**

**ბათუმი. ანგისა**

1:0 მამუჩაშვილი (35), 2:0 ფლამარიონი (61), 2:1 მამუჩაშვილი (71სკ)

**დინამო:** ალავიძე, გეგეჭკორი, მ.კობახიძე, გაგოშიძე, ნავალოვსკი, ტეიდი, ჯილაური, მამუჩაშვილი (გაფრინდაშვილი 76), რამოსი (თევდორაძე 72), ფლამარიონი (ჯანელიძე 90), დვალიშვილი

**ლოკომოტივი:** ბულისკერია, გურეშიძე, ჭანტურია, კომახიძე, უბილავა, შონია, კირკიტაძე (შეყილაძე 72), დარცმელია, მახარობლიძე, სიხარულიძე (გოროზია 86), ჯიქია (ინჯგია 55)

ეროვნული ლიგის ლიდერმა, ბათუმის დინამომ, ანგისას ბაზაზე ლოკომოტივი მიიღო და 2:1 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ დინამომ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში ზედიზედ მე-5 დაპირისპირება მოიგო.

მასპინძლებმა ანგარიში მატჩის 36-ე წუთზე ვლადიმერ მამუჩაშვილის მიერ გატანილი გოლის წყალობით შეძლეს. მიუხედავად იმის, რომ ბათუმელებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, ეს იყო ერთადერთი გოლი რომელიც პირველ ტაიმში გავიდა.

მე-2 ტაიმი გია გეგუჩაძის გუნდის უპირატესობით დაიწყო, რომელიც საბოლოოდ მეორე გატანილ გოლში გამოიხატა. მე-60 წუთზე ორამდე დინამოს უპირატესობა ჟოვინო ფლამარიონმა გაზარდა. ეს გოლი ბრაზილიელი შემტევისთვის რიგით მე-12 გამოდგა და ამ მაჩვენებლით ფლამარიონმა ბომბარდირთა დავაში მე-4 პოზიციაზე გადაინაცვლა.

სტუმრებმა დარჩენილ დროში მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს ისიც ვლადიმერ მამუჩაშვილის მიერ გატანილი ავტოგოლის წყალობით.

ამ დროისთვის ბათუმის დინამოს 55 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს. ლოკომოტივი კი 37 ქულით მეხუთე პოზიციაზეა.

**სიონი-საბურთალო 1:3**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

0:1 გიი (1), 0:2 როლოვიჩი (21), 0:3 გაბედავა (31) 1:3 ცაცკრიალაშვილი (53პ)

**სიონი:** ლ.ისიანი, თომაშვილი, უგრეხელიძე (თარხნიშვილი 46), ტვილდიანი, ხმალაძე, კახაბრიშვილი (თარგამაძე 46), ტატანაშვილი, ცაცკრიალაშვილი (ჩაჩუა 88), ჯაფიაშვილი, სუხიაშვილი, ივანიშვილი

**საბურთალო:** კუპატაძე, სანდოხაძე, გაბედავა, ჩაბრაძე, ყენია, რეხვიაშვილი, კაკუბავა, ალთუნაშვილი (ცნობილაძე 55), გიი (მარგველაშვილი 66), როლოვიჩი, გორგიაშვილი (ლაკვეხელიანი 61)

ჩემპიონებმა პრაქტიკულად პირველ ტაიმში გადაწყვიტეს მნიშვნელოვანი 3 ქულის ბედი. პირველივე წუთზე მასპინძელთა კარი ინტერს გიმ აიღო. მე-21 წუთზე ორამდე უპირატესობა



ოგნიენ როლოვიჩმა გაზარდა, ხოლო 31-ზე კი მესამე გოლი გიორგი გაბედავამ გაიტანა და გუნდები შესვენებაზე სწორედ ამ ანგარიშით გავიდნენ.

მატჩის მეორე ნახევარში აქტიურ შეტევებს საბურთალომ უკლო და აქედან გამომდინარე მასპინძლები ინიციატივის აღებას შეეცადნენ. ბოლნისელთა ერთ-ერთი შეტევა სტუმართა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანით დასრულდა, რომელიც ზუსტად რატი ცაცკრიალაშვილმა შეასრულა და თამაშში ინტრიგა დააბრუნა.

სიონის ფეხბურთელებს დარჩენილ დროში ჰქონდათ ანგარიშში სხვაობის შემცირების მცდელობები, თუმცა გოლის გატანამდე საქმე არ მივიდა. საბოლოოდ შეხვედრა საბურთალომ 3:1 მოიგო და აქტივში მორიგი 3 ქულა დაიმატა.

ამ დროისთვის ჩემპიონებს 50 ქულა აქვთ და გათამაშების ცხრილში მე-3 პოზიციაზე არიან. ბოლნისის სიონი კი 27 ქულით მე-9 ადგილზე რჩება.

**ჩიხურა-ტორპედო 1:1**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

1:0 ჩიკვაიძე (87), 1:1 კაშია (90სკ)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, კორიფაძე, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი, კაშია, მარკოზაშვილი, ჩიხლაძე, არდაზიშვილი (კამლაძე 75), მუმლაძე (ზ.კაპანაძე 90)

**ტორპედო:** ასათიანი, ჭიჭინაძე, ხურცილავა (გრიგალაშვილი 46), მაჩაიძე, ნადარაია, გადრანი, ჩუკვურა, ცეცხლაძე, დოლიძე (ჩოგაძე 69), თ.კაპანაძე, ციცქიშვილი (კიკნაძე 73)

ივანწმინდაში ადგილობრივ ჩიხურასა და ქუთაისის ტორპედოს შორის ანგარიშის გახსნა მასპინძლებმა მატჩის მიწურულს, 87-ე წუთზე მოახერხეს – გოლი ლაშა ჩიკვაიძემ გაიტანა.

საჩხერელებს 3 ქულის მოპოვება თითქმის გარანტირებული ჰქონდათ, რომ არა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში შოთა კაშიას მიერ გატანილი ავტოგოლი, რომელმაც ჩიხურას 2 ქულა დააკარგვინა, ხოლო ტორპედოს ქულა მოუტანა.

26 ტურის შემდეგ საჩხერის ჩიხურას 32 ქულა აქვს და მე-6 ადგილზე იმყოფება. ქუთაისის ტორპედო 39 ქულით მე-4 პოზიციაზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 27 | 17 | 4 | 6 | 47-23 | 55 |
| 2.დინამო (თბ) | 25 | 16 | 3 | 6 | 53-25 | 51 |
| 3.საბურთალო | 25 | 15 | 5 | 5 | 45-27 | 50 |
| 4.ტორპედო | 26 | 11 | 6 | 9 | 46-38 | 39 |
| 5.ლოკომოტივი | 27 | 11 | 4 | 12 | 33-36 | 37 |
| 6.ჩიხურა | 27 | 7 | 11 | 9 | 34-31 | 32 |
| 7.რუსთავი | 27 | 7 | 9 | 11 | 30-41 | 30 |
| 8.დილა | 27 | 7 | 7 | 13 | 26-37 | 28 |
| 9.სიონი | 27 | 7 | 6 | 14 | 29-64 | 27 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 26 | 4 | 5 | 17 | 12-33 | 17 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ესპანეთის ნაკრები კალათბურთში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა

ჩინეთში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში, რომლის გამარჯვებულიც ესპანეთის ეროვნული გუნდი გახდა.

მიუხედავად მოლოდინისა, ფინალურ მატჩში ბრძოლა არ შედგა და ესპანელებმა არგენტინა საკმაოდ კომფორტული ანგარიშით, 95:75 დაამარცხეს.

ევროპელებმა უპირატესობა მატჩის დასაწყისშივე მოიპოვეს და მას შემდეგ გამარჯვება წამითაც არ დაუყენებიათ ეჭვქვეშ. მაქსიმუმ, რისი გაკეთებაც არგენტინამ შეძლო, პირველ მეოთხედში ანგარიშის 1 ქულამდე შემცირება იყო (14-13).

გამარჯვებულთაგან საუკეთესო მოთამაშე მარკ გასოლი გახდა, რომელმაც 14 ქულა, 7 მოხსნა და 7 ასისტი მიითვალა, არგენტინელთაგან კი – გაბრიელ დეკი, რომელმაც 24 ქულა და 1 მოხსნა დააგროვა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე ღირებული მოთამაშის პრიზი ესპანელ რიკი რუბიოს გადაეცა.

# შედეგები

## 14 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-ნიუკასლი ................. 3:1
ბრაიტონი-ბარნლი ................. 1:1
ვულვზი-ჩელსი ................. 2:5
მანჩესტერი-ლესტერი ................. 1:0
ტოტენჰემი-კრ.პალასი ................. 4:0
შეფილდი-საუთჰემპტონი ................. 0:1
ნორვიჩი-სიტი ................. 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 5 | 5 | 0 | 0 | 15-4 | 15 |
| 2.სიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 16-6 | 10 |
| 3.ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-6 | 8 |
| 4.მანჩესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-4 | 8 |
| 5.ლესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 6.ჩელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-11 | 8 |
| 7.არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 7 |
| 8.ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 9.ვესტ ჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-7 | 7 |
| 10.საუთჰემპტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 11.კრ.პალასი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-6 | 7 |
| 12.ნორვიჩი | 5 | 2 | 0 | 3 | 9-12 | 6 |
| 13.ბარნლი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 14.შეფილდი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 15.ბრაიტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 16.ბორნმუთი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 17.ნიუკასლი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 18.ასტონ ვილა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 3 |
| 19.ვულვზი | 5 | 0 | 3 | 2 | 6-10 | 3 |
| 20.უოტფორდი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ფულემი-ვესტ ბრომვიჩი ................. 1:1
ბლექბერნი-მილუოლი ................. 2:0
ქპრ-ლუთონი ................. 3:2
მიდლსბრო-რედინგი ................. 1:0
პრესტონი-ბრენტფორდი ................. 2:0
სტოკი-ბრისტოლი ................. 1:2
სუონსი-ნოტინგემი ................. 0:1
ჰალი-უიგანი ................. 2:2
ჩარლტონი-ბირმინგემი ................. 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-აინტრახტი ................. 2:1
დორტმუნდი-ლევერკუზენი ................. 4:0
კიოლნი-გლადბახი ................. 0:1
მაინცი-ჰერტა ................. 2:1
უნიონი-ვერდერი ................. 1:2
ლაიფციგი-ბაიერნი ................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-3 | 10 |
| 2.დორტმუნდი | 4 | 3 | 0 | 1 | 13-5 | 9 |
| 3.ბაიერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 12-4 | 8 |
| 4.ვოლფსბურგი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 5.გლადბახი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 6.ლევერკუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-7 | 7 |
| 7.ფრაიბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| 8.აინტრახტი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 9.ვერდერი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-9 | 6 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11.შალკე | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 12.ფორტუნა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 13.უნიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 14.აუგსბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-10 | 4 |
| 15.კიოლნი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| 16.მაინცი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-13 | 3 |
| 17.პადერბორნი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| 18.ჰერტა | 4 | 0 | 1 | 3 | 3-10 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-არმინია ................. 0:2
ჰაიდენჰაიმი-კილი ................. 3:0
რეგენსბურგი-შტუტგარტი ................. 2:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რეალი-ლევანტე ................. 3:2
ლეგანესი-ვილიარეალი ................. 0:3
სოსიედადი-ატლეტიკო ................. 2:0
ბარსელონა-ვალენსია ................. 5:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 4 | 3 | 0 | 1 | 5-4 | 9 |
| 2.რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-6 | 8 |
| 3.ბილბაო | 4 | 2 | 2 | 0 | 4-1 | 8 |
| 4.ბარსელონა | 4 | 2 | 1 | 1 | 12-7 | 7 |
| 5.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 6.სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 7.ლევანტე | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 8.ვილიარეალი | 4 | 1 | 2 | 1 | 10-8 | 5 |
| 9.ოსასუნა | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 10.ალავესი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 11.გრანადა | 3 | 1 | 1 | 1 | 7-5 | 4 |
| 12.სელტა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 13.ვალენსია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 14.ვალიადოლიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 15.მალიორკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 16.ესპანიოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 17.ბეტისი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-8 | 3 |
| 18.ხეტაფე | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 19.ეიბარი | 4 | 0 | 1 | 3 | 4-7 | 1 |
| 20.ლეგანესი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მირანდესი-მალაგა ................. 1:1
ნუმანსია-უესკა ................. 1:0
ლას პალმასი-ალმერია ................. 0:3
კადისი-ხირონა ................. 2:0
პონფერადინა-ალკორკონი ................. 1:1

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-იუვენტუსი ................. 0:0
ნაპოლი-სამპდორია ................. 2:0
ინტერი-უდინეზე ................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| 2.იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| 3.ნაპოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-7 | 6 |
| 4.ტორინო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 5.ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 6.ჯენოა | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 7.ბოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8.ვერონა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9.სასუოლო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| 10.პარმა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| 11.ატალანტა | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 12.ბრეშა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 13.მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 14.უდინეზე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 15.რომა | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 16.ფიორენტინა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |
| 17.სპალი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 18.კალიარი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 19.ლეჩე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |
| 20.სამპდორია | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ლივორნო ................. 2:0
ვირტუსი-ფროზინონე ................. 1:0
პერუჯა-იუვე სტაბია ................. 0:0
ჩიტადელა-ტრაპანი ................. 2:0
ვენეცია-კიევო ................. 0:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-სტრასბური ................. 1:0
ბორდო-მეცი ................. 2:0
ბრესტი-რენი ................. 0:0
დიჟონი-ნიმი ................. 0:0
მონპელიე-ნიცა ................. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 5 | 4 | 0 | 1 | 11-2 | 12 |
| 2.რენი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| 3.ლილი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-5 | 9 |
| 4.ნიცა | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 5.ანჟე | 5 | 3 | 0 | 2 | 9-9 | 9 |
| 6.ლიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 12-4 | 8 |
| 7.ბორდო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 8.რეიმსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-1 | 7 |
| 9.ნანტი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 10.მონპელიე | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 7 |
| 11.მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| 12.ტულუზა | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 13.ბრესტი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-5 | 6 |
| 14.ნიმი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 15.ამიენი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 16.სტ.ეტიენი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 17.მეცი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 18.სტრასბური | 5 | 0 | 3 | 2 | 3-6 | 3 |
| 19.მონაკო | 4 | 0 | 2 | 2 | 4-10 | 2 |
| 20.დიჟონი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-7 | 1 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

კლერმონი-ლორიანი ................. 0:2

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ალკმაარი-სპარტა ................. 5:1
აიაქსი-ჰერენვენი ................. 4:1
ვენლო-გრონინგენი ................. 2:1
პსვ-ვიტესი ................. 5:0
უტრეხტი-ემენი ................. 3:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფამალიკაო-ფერეირა ................. 4:2
ბენფიკა-ჟილ ვისენტე ................. 2:0
გიმარაეში-ავიში ................. 5:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

სპარტაკი-ურალი ................. 1:2
სოჭი-ლოკომოტივი ................. 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-სელტიკი ................. 0:1
აბერდინი-სტ.ჯონსტონი ................. 1:1
კილმანროკი-ჰიბერნიანი ................. 2:0
რეინჯერსი-ლივინგსტონი ................. 3:1
როსი-სტ.მირენი ................. 2:1
ჰართსი-მოზერველი ................. 2:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

მატერსბურგი-ტიროლი ................. 0:2
ზალცბურგი-ჰარტბერგი ................. 7:2
შტურმი-ლინცერი ................. 0:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

ოსტენდე-სტანდარდი ................. 1:4
სტ.ტრუიდენი-ბევერენი ................. 1:1
ეუპენი-ვარეგემი ................. 1:1
სერკლი-ბრიუგე ................. 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-პაოკი ................. 2:3
ოფი-პანეთოლიკოსი ................. 3:1
ოლიმპიაკოსი-ვოლოსი ................. 5:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-სივასი ................. 1:1
ანთალია-ქაისერი ................. 2:2
გაზიანთები-ბეშიქთაში ................. 3:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ჩენსტოხოვა-არკა ................. 2:0
ლეხია-ლეხი ................. 2:1
კორონა-ვისლა ................. 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-დნიპრო ................. 2:0
კარპატი-ვორსკლა ................. 2:1
შახტარი-ზორია ................. 4:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

იორებრო-სუნდსვალდი ................. 0:0
ესტერსტუნდი-კალმარი ................. 1:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

რუსენბორგი-ლილესტრიომი ................. 3:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ლახტი-როვანიემი ................. 3:0

# კროსვორდი



1. დასვენების დღე; 2. ასო „ტ“-ს სახელწოდება; 3. ერთად მიმავალ ცხენოსანთა ჯგუფი; 4. ზაფხულის თვე; 5. რომელიმე დაწესებულების თანამშრომელთა მთელი შემადგენლობა; 6. შორეული წარსულის რაიმე გადმონაშთი; 7. აქილევსის ...; 8. იგივეა, რაც ცთომილი; 9. ჰერას ქურუმი ქალი; 10. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 11. თეთრი თხევადი საკვები; 12. სითბოს მუდმივობის დროს მიმდინარე ფიზიკური პროცესის შესაბამისი გრაფიკი; 13. ძველრუსული ოქროს ფული; 14. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 15. ზოდიაქოს ნიშანი; 16. ბატონი (ინგლისურად); 17. იუპიტერი ძველ ქართულად; 18. კენძაბურო ... (მწერალი); 19. მცენარეული შხამი; 20. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი (1731-1810); 21. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 22. იგივეა, რაც ბელღარი; 23. მხარე დასავლეთ საქართველოში; 24. შეგირდი, ..., ოსტატი; 25. კულტის მსახური წარმართებში; 26. ძველებური პატრუქიანი თოფი; 27. ავადმყოფობის შესუსტება ან გაქრობა; 28. კავშირი (გრამატ.); 29. სკანდინაველთა უმაღლესი ღვთაება; 30. პურეული მცენარე; 31. ედემი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მარგალიტი; 2. პუდრეტი; 3. შირაზი; 4. შარკო; 5. ელარჯი; 11. ხამონი; 12. მადერა; 14. ბივა; 16. პატრული; 17. იზაბელა; 19. მარტინი; 21. ცენტი; 22. ხაში.

**თარაზულად:** 6. ხაჭაპური; 7. ათანელი; 8. კიური; 9. ჩაფიძე; 10. ზესხო; 13. შტაბი; 15. იპოქონდრია; 18. დიორამა; 20. ზარა; 21. ცერული; 23. მირზაშვილი; 24. ლოპოტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პომპეო; 2. საცივი; 3. მასკი; 5. რუხი; 6. ცერული; 8. სტამპა; 11. შავლაყაძე; 13. ამანათი; 14. ანტრაშა; 15. ბერბიჭა; 19. იორი.

**თარაზულად:** 1. პალიასტომი; 4. პეტრიცი; 7. მატრიცა; 9. კანტონი; 10. ფშავი; 12. სემაფორი; 16. სამორინე; 17. პალანგა; 18. პრევენცია; 20. ძილქუში; 21. ეირე; 22. კასტილია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9607

ევრო — 3.2855

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6878

100 რუსული რუბლი — 4.6066

## ამინდის პროგნოზი 16 სექტემბერი








## 17 სექტემბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## 1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი





## ქეთი ხუციშვილი „კომედი შოუს“ წევრი გახდა



სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ლუნა „კომედი შოუს“ წევრი გახდა.

ქეთი ხუციშვილმა კომედი ჯგუფის იუმორისტებთან ერთად აქტიური რეპეტიციები უკვე დაიწყო.

მას შემდეგ, რაც რუსთავი 2-ის იუმორისტები ორ ჯგუფად გაიყვნენ, ნაწილი ამავე არხზე დარჩა და ნაწილი ნიკა გვარამიასთან ერთად მთავარ არხზე გადავიდა, „კომედი ჯგუფს“ ახალი წევრები დაემატნენ.

ქეთი ხუციშვილი ერთ-ერთი მათგანია. ის იუმორისტებთან ერთად სხვადასხვა სკეტჩში მიიღებს მონაწილეობას.

## თაკო გაჩეჩილაძის თაიგული სოფო ნიჟარაძემ დაიჭირა



მომღერალ თაკო გაჩეჩილაძის ქორწილში პატარძლის თაიგული მისმა კოლეგა სოფო ნიჟარაძემ დაიჭირა.

თაკო გაჩეჩილაძემ და მისმა მეუღლემ ბორისლავ მილანოვმა ჯვარი გასულ წელს დაიწერეს, თუმცა ქორწილი საქართველოში მხოლოდ ახლა გადაიხადეს.

მათი ქორწილის ყველაზე საპატიო და განსაკუთრებული სტუმარი წყვილის პატარა გოგონა გაბრიელა იყო. თაკოსა და ბორისლავის ბედნიერება მათი უახლოესი ადამიანების გარემოცვაში აღინიშნა.

პატარძალმა ქორწილში მხოლოდ ძალიან ახლობელი ადამიანები დაპატიჟა. მათ შორის აღმოჩნდა სოფო ნიჟარაძე.

როდესაც პატარძალმა თაიგულის სროლა გადაწყვიტა, სოფო საერთოდ არ იდგა თაიგულის დამჭერ გოგონათა შორის, თუმცა თაიგული ოდნავ მოშორებით მდგარი მომღერლის ფეხებთან დაეცა.

ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა. სოფოს გულშემატკივრები მალე გაბედნიერებას უსურვებენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 16 სექტემბრისთვის



**ვერძი** — თავგადასავლებითა და პროვოკაციებით სავსე დღეა. ახლობელთან კონფლიქტის მიზეზი შესაძლოა თქვენი მეტისმეტი ქედმაღლობა და სიჯიუტე გახდეს. **კურო** — ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. არაკეთილისმყოფელი პერიოდია კოლექტიური მუშაობისათვის. ილუზიებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** — საშუალება გეძლევათ, გააფართოვოთ სამოქმედო არეალი. ახალი იდეების ხორცშესხმა სავსებით რეალურია. **კირჩხიბი** — ნათესავებთან და ძველ მეგობრებთან ურთიერთობა გიუმჯობესდებათ. დღეს აკრძალულია ნებისმიერი კაპიტალდაბანდება. **ლომი** — პარტნიორთან მაქსიმალურად თავშეკავებული და წინდახედული იყავით, თუმცა მოთმინებასაც საზღვარი აქვს. **ქალწული** — მთელი ენერგიის კონცენტრირება თავდაცვისკენ მოახდინეთ. არ არის გამორიცხული კონფლიქტი ეჭვიანობის ან ფინანსური პრობლემების ნიადაგზე. **სასწორი** — კოლეგებთან ურთიერთობაში აუცილებელია პატიოსნება და გულწრფელობა. სამსახურში სიძნელეებს წააწყდებით. საღამოს განმარტოვდით მყუდრო გარემოში. **ღრიანკალი** — კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის. თქვენი ღირსებები სათანადოდ დაფასდება. **მშვილდოსანი** — ყურადღებით მოეკიდეთ საქმიან ქაღალდებსა და მატერიალურ ფასეულობებს. ნებისმიერ უსიამოვნებას ემოციების გარეშე შეხვდით. **თხის რქა** — მშვიდად იმუშავეთ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს. დიდი ხნის ოცნების ასრულებას მოულოდნელად მიღებული ინფორმაცია შეუშლის ხელს. **მერწყული** — ენერგეტიკული პოტენციალი სუსტდება. მოვლენები თქვენთვის არასასურველი კუთხით განვითარდება. შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. **თევზები** — დაკისრებული მოვალეობა კეთილსინდისიერად შეასრულეთ. თქვენი შრომისმოყვარეობა აუცილებლად სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

დედა ქალიშვილს ეუბნება:

— დაბადების დღეს გილოცავ, შვილო!

— მადლობა, დედიკო!

— და დღეს რის გაკეთებას აპირებ?

— და შენ რას აკეთებდი შენს მეოცე დაბადების დღეზე?

— შენ...

•••

მამა შვილს ეუბნება:

— შვილო, დაიმახსოვრე, იმისთვის, რომ კარგი ადამიანი იყო, ყოველთვის პუნქტუალური და ფრთხილი უნდა იყო.

— და რას ნიშნავს პუნქტუალური?

— რას და ყოველთვის უნდა შეასრულო დაპირება.

— და ფრთხილი?

— არასოდეს არავის არაფერს არ დაჰპირდე!!!

•••

ბავშვი მამას ეუბნება:

— მამიკო, ცირკში წამიყვანე.

— დრო არ მაქვს, შვილო, დრო.

— ბავშვები კი ამბობენ, რომ იქ თურმე შიშველი დეიდა ვეფხვზე ამხედრებული გამოდის!

— ვეფხვზე ამხედრებული? ჰოო... კარგი, წავიდეთ, დიდი ხანია, ვეფხვი არ მინახავს.

•••

მოსამართლე ბრალდებულს ეუბნება:

— ამრიგად, თქვენ ბრალად გედებათ თაღლითობა, ახალგაზრდობის ელექსირს ყიდდით. ადრეც ყოფილხართ ნასამართლევი?

— დიახ, 1650, 1730 და 1890 წლებში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქალმა კოსმეტოლოგის სამსახურზე უარი თქვა და შიშველი დამლაგებელი გახდა



შოტლანდიის ქალაქ ედინბურგის მკვიდრმა, 25 წლის ვიქტორია მერფიმ, კოსმეტოლოგად მუშაობას თავი დაანება და საკუთარი ფირმა გახსნა, რომელიც კლიენტებს შიშველი დამლაგებლების მომსახურებას უწევს.

მერფიმ უნივერსიტეტი „ღონისძიების ორგანიზატორის“ სპეციალობით დაამთავრა. გარკვეული დროის განმავლობაში ის კოსმეტოლოგად მუშაობდა, მაგრამ ერთ დღესაც წააწყდა ამერიკული კომპანიის განცხადებას, რომელიც კლიენტებს შიშველი დამლაგებლების მომსახურებას სთავაზობდა. სწორედ მაშინ დაებადა საკუთარი საქმის დაწყების იდეა.

ამჟამად მერფის დაქვემდებარებაში 15 ადამიანია, მათ შორის სამი მამაკაცი. მუშაობაში შიშველი დამლაგებლები საათში 55-დან 75 ფუნტ სტერლინგამდე იღებენ. ეს მათი სიშიშვლიდანაა გამომდინარე. კლიენტებს სამიდან ერთ-ერთის არჩევა შეუძლიათ: დალაგება საცვლებში, საცურაო კოსტიუმში ან სრულიად შიშველი.

სანამ საკუთარ საქმეს წამოიწყებდა, მერფიმ თავად გამოცადა ამ სახის საქმიანობა. ქალი აცხადებს, რომ არ სურს, მისი თანამშრომლები ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რომელშიც თავად არ აღმოჩენილა. მისი თქმით, შიშველი კლენინგი ესკორტ-სერვისში არ უნდა აერიოთ.

როდესაც მერფიმ უკანასკნელად გამოაცხადა თანამშრომლების სამსახურში აყვანის თაობაზე, 100-ზე მეტი განცხადება მიიღო. ბიზნესვუმენმა კი ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის მეტად მნიშვნელოვანია სამუშაოს ხარისხიანად შესრულება.

## წყალქვეშა მონადირე ოთხმეტრიან ზვიგენს გადაურჩა

ავსტრალიაში დიდი თეთრი ზვიგენი, რომლის სიგრძე 4,5 მეტრს აღწევდა, წყალქვეშ მონადირეს დაესხა თავს.



ჯო პეტროვიჩი წყალქვეშ ნადირობით იყო დაკავებული დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ პერტის რაიონში. მტაცებელი თევზი იმ დროს გამოჩნდა, როდესაც მამაკაცი თავის ნავს 250 მეტრით იყო დაშორებული. მის დანახვაზე წყალქვეშ მონადირემ სასწრაფოდ ნავისკენ გაცურა, ზვიგენი კი მას დაედევნა.

დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ მტაცებელი შეტევაზე გადავიდა. პეტროვიჩმა მას წყლის თოფი ესროლა, მაგრამ ზვიგენი თავში ჰარპუნის მოხვედრამაც კი ვერ შეაჩერა. ის ისევ დაესხა თავს მამაკაცს და კბილებით საცურაო ლასტს ჩააფრინდა.

ამის მიუხედავად, პეტროვიჩმა მაინც მოახერხა ნავში ასვლა, რომელიც სანაპიროდან ორ კილომეტრში იდგა, თუმცა მტაცებელს თავი არც ამის შემდეგ დაუნებებია და ნავს თითქმის ნაპირამდე სდია.

## ხვლიკების მიერ შეშინებულმა მამაკაცმა ღამე ქალების საწოლში გაატარა



მალაიზიის ტრენგანუს შტატში 20 წლის მამაკაცი დააპატიმრეს, რომელსაც ორ ქალთან საწოლში შეუსწრეს.

სამივე ერთად ჩავიდა კურორტზე და ორი მეზობლად მდგარი კოტეჯი დაიქირავეს. ერთში დაბინავდა მამაკაცი, ხოლო მეორეში, რომელთაგან ერთ-ერთი გათხოვილი იყო — ქალები. საღამოს მამაკაცი იმ კოტეჯში გადავიდა, სადაც ქალები იმყოფებოდნენ და ღამით მათთან დარჩა.

დაახლოებით ღამის სამ საათზე კურორტზე ინსპექტირებაზე შტატის რელიგიის საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლები მივიდნენ, რომლებიც შარიათის კანონების დაცვას ადევნებენ თვალს. მათ კოტეჯები დაათვალიერეს და კანონის დამრღვევები აღმოაჩინეს. დაკითხვაზე მამაკაცმა განმარტა, რომ ქალებთან იმის გამო გადასახლდა, რომ თავის კოტეჯში ხვლიკებმა შეაშინეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## წურწუმია და გობაძე მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ



ყაზახეთის დედაქალაქ ნურსულთანში მიმდინარეობს მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატი ჭიდაობაში. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ნუგზარ წურწუმიამ (55 კგ) და ლაშა გობაძემ (82) ბრწყინვალედ იასპარეზეს და ოქროს მედლები მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი 12 წელი არ ჰქონდა მოგებული.

წურწუმიამ გადამწყვეტ შეხვედრაში მასპინძელი ზაკანშა 9:0 გაანადგურა. ჩვენებურმა ფინალამდეც შესანიშნავად იარა. მისი პირველი მეტოქე ჩინელი ჩაო იყო, რომელიც 9:0 დაამარცხა, მომდევნო ეტაპზე კი რუს კაბალოევს 8:3 სძლია. ნახევარფინალში წურწუმიას მეტოქე იაპონელი შოტა ოგავა იყო, რომელსაც ასევე დიდი სხვაობით — 8:0 მოუგო.

წურწუმიას კარგად აუბა მხარი გობაძემ, რომელმაც ფინალში აზერბაიჯანელი რაფიგ ჰუსეინოვი 5:3 დაამარცხა. ფინალამდე ლაშამ ჯერ ამერიკელი სტეფანოვიჩი 7:0 დაჩაგრა, შემდეგ ჩინელ ქიანს 9:0 მოუგო, ხოლო ნახევარფინალში უზბეკ მეტოქეს, ნურბეკ ხაშიმბეკოვს დაუპირისპირდა და შედარებით მოკრძალებული ანგარიშით — 3:1 იმარჯვა.

ცუდი მხოლოდ ის არის, რომ ორივე წონა არაოლიმპიურია და წურწუმიაცა და გობაძეც მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონობას დასჯერდებიან. რაც შეეხება ოლიმპიურ წონებსა და ლიცენზიებს, აქ მხოლოდ გიორგი მელიამ იყოჩაღა, რომელიც ხვალ ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავებს. ავტომატურად, მელიას ოლიმპიური ლიცენზიაც ერგო.

ერთია, კიდევ 3 წონით კატეგორიაში (60, 77 და 130) ჩვენები დღეს იასპარეზებენ და მედლებისა და ლიცენზიის მოპოვების შანსი კიდევ დაგვრჩა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. პროტესტანტების მღვდელი; 3. ფრანგი კომპოზიტორი (XIX ს.); 8. მოგრძო გუნდებად შემწვარი შეზავებული ფარში; 9. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 14. შექსპირის ტრაგედია; 15. ფოტოაპარატი; 17. ... დიასამიძე; 20. ნამდვილად არსებული ნივთი; 22. აზროვნების ორგანო; 23. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ყურე ციცაბო, კლდოვანი ნაპირებით; 25. ბილიარდის ჯოხი; 26. თხის ჯოგი; 27. უნდობლობა; 28. იტალიური მუსიკის მცოდნე, მოყვარული; 29. შლამის თევზი; 30. სასწორის თეფში; 31. გეომეტრიული სხეული.

**შვეულად:** 1. „... ჩვენი არსობისა“; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ძირითადი, მთავარი აზრი; 4. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 5. გამარჯვების უპირატესი შანსის მქონე ცხენი დოღში; 6. თეატრის კოლექტივი; 7. ერთგვარი ბრუნი ბალეტში; 10. თავბრუ; 11. დღესასწაული — მასკარადი ღია ცის ქვეშ; 12. ინგლისურ-ფრანგული ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავი; 13. ცხვრის ჯოგი; 16. მწვადის შესაწვავი თავლია ღუმელი; 18. მსუსხავი ბალახი, მხლადაც გამოსაყენებელი; 19. ბატონო (თურქულად); 21. მოზრდილი მცოხნელი ცხოველი („ქორბუდა“); 24. ხის სატანვარჯიშო იარაღი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**